ალექსი გოცირიძისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა დღეს დასრულდება

A4

აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი სოციალური პროგრამების ხარჯზე იზრდება

A5

მილიონები მემკვიდრეობისთვის

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი, 8 თებერვალი, 2006 წელი. №27 (1179) ფასი 50 თეთრი

ამბები

ტერიტორიული ბიუჯეტების 20% უკონტროლო ხარჯებზე მიიმართება

სამწუხაროდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჯერაც არ აქვთ 2005 წლის შეჯამებული შედეგები და, როგორც სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, ეს მონაცემები საბოლოო სახით მზად იქნება არაუადრეს თებერვლის ბოლოს.

A2

პოლიტიკა

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საზღვრები საქართველოში

იმის მიუხედავად, რომ კანონი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" მეტად ლიბერალურ წესებს ამკვიდრებს, ყველაფერი ნებადართული, ცხადია, არ არის. კერძოდ, რა იზღუდება კანონის მიხედვით და როგორი პრაქტიკა ინერგება რეალობაში?

A3

სამართალი

„მეამბოხე მოსამართლეების" სარჩელი სასამართლომ არ მიიღო

მოსარჩელე მოსამართლეებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების გასაჩივრება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში შეუძლიათ.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	8/02	9 /02
თბილისი	10	7
ქუთაისი	12	13
სოხუმი	10	13
დმანისი	5	3
გორი	8	8
ონი	2	7
ზუგდიდი	14	15
ახმეტა	10	7
გაგრა	10	10
სამტრედია	14	15

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8060
ევრო	2.1658
გირვანქა სტერლ.	3.1712
რუბლი	0.0640

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
უცხოეთი	A 5
სპორტი	A 6
განცხადებები	A 7
სხვადასხვა	A 8
ტენდერი	B1-B4

პარლამენტი „მოლოდინის რეჟიმში" გადადის

გიორგი ასანიშვილი

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განთავსებული რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, საქართველოს პარლამენტი ერთკვირიან ტაიმ-აუტს იღებს. ორშაბათს ჩატარდება საკომიტეტო მოსმენა, რომელზეც კანონმდებლები დეტალურად გააანალიზებენ ყველა იმ პუნქტს, რომელსაც რუსი "ცისფერჩაფხუტიანები" არღვევენ ან არ ასრულებენ. გარდა ამისა, ერთკვირიანი "მოლოდინის რეჟიმი" გამოყენებული იქნება ყველა იმ საფრთხისა და შესაძლო პროვოკაციის გასათვლელად, რომლებიც პარლამენტის დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ არის მოსალოდნელი. რუს სამშვიდობოებს საბოლოო "განაჩენს" პარლამენტარები 14 თებერვალს, საგაზაფხულო სესიის პირველივე პლენარულ სხდომაზე გამოუტანენ. სხდომას საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრება. ამ დღეს მიხეილ სააკაშვილი დეპუტატების წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგება.

გაგრძელება A3 გვერდზე

პარლამენტი და მთავრობა აჩქარებას არ აპირებენ.

„უნდა დაიჯეროთ, რომ ხართ თავის უფალი!"

სალომე ზურაბიშვილის "ქართული გზა"

თამარ მაისურაძე

მისთვის ადრე რომ ეკითხათ, რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანდებოდა თუ არა, კატეგორიულ უარს განაცხადებდა, თუმცა მხოლოდ "მოძრაობას" რომ არ დასჯერდებოდა, იმთავითვე იყო ცნობილი. "ასეთია ცხოვრება," – აცხადებს სალომე ზურაბიშვილი და პარტიას პირობითი სახელით – "ჩვენი გზა, ქართული გზა" – თავად ქმნის. მომავალში, ანუ მას მერე, რაც მის პარტიაში მისი თანამოაზრენი მოიყრიან თავს, შესაძლოა სხვა სახელიც დაირქვან და ის პროგრამაც დახვეწონ, რომელზეც პარტიის თავმჯდომარე გუშინ საუბრობდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

სალომე ზურაბიშვილი პარტიას აყალიბებს.

დიდი ეპოქის დასასრული

რევაზ საყევარიშვილი

ის მსოფლიოში დღესაც ყველაზე გავლენიანი ადამიანია. დიახ, დღესაც - მას მერე, რაც თანამდებობა დატოვა. ასე განსაჯეთ, გაცილებით გავლენიანი, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. პრეზიდენტი, რომელმაც კითხვაზე, რას იზამს პირველ რიგში, თუ საგანგებო ეკონომიკური ვითარება შეიქმნა, დაუფიქრებლად უპასუხა: "ცხადია, პირველ ყოვლისა, მას დავუკავშირდები".

დიახ, მას დაუკავშირდება. მას - ალან გრინსპენს, იგივე "დოქტორ დოლარს", იგივე "ფინანსურ დირიჟორს", იგივე "ამერიკის ეკონომიკის ბოსს"... გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ან კი რა გასაკვირია: ეს მეტსახელები და ეპითეტები ხომ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში გროვდებოდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

ახალი კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"

თითქმის ერთი თვეა, საქართველოში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ახალი კანონი მოქმედებს. რა ცვლილებებს შეიცავს ახალი კანონი, როგორ პირობებში მოუწევთ ამიერიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებს, და არა მარტო მათ, შესყიდვების განხორციელება და რატომ დადგა დღის წესრიგში ახალი კანონის მიღება? ამ და სხვა საკითხებზე "24 საათს" საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე სოსო ვარსიმაშვილი ესაუბრა.

ანა შარვაშიძე

- ბატონო სოსო, ახალი წლიდან ძალაში შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ახალი კანონი. რა სიახლეებს გვთავაზობს იგი?

- "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს ახალი კანონი ძალაში 2006 წლის 1 იანვრიდან შევიდა. სიახლეები, ძირითადად, შემდეგია: შესყიდვის ძირითად საშუალებად აღიარებულია ღია ტენდერი. მეტი გამჭვირვალობის მიზნით, დახურული ტენდერი გაუქმებულია. აქამდე დახურული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ იყო, განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ საჯაროდ გამოექვეყნებინა. იგი უფლებამოსილი იყო, სატენდერო განცხადება მის მიერ შერჩეულ ხუთ პირზე დაეგზავნა. ამასთან, კანონით არ იყო დადგენილი, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით უნდა მომხდარიყო ამ პირთა შერჩევა, რაც სისტემის გამჭვირვალობის ხარისხს ამცირებდა და კორუფციულ გარიგებათა არსებობის რისკს ზრდიდა. ამიტომაც, დახურული ტენდერი, როგორც შესყიდვის ძირითადი საშუალება, გაუქმებულია და შესყიდვის ძირითად საშუალებად აღიარებულია ღია ტენდერი.

ასევე, ახალი კანონის თანახმად, შესყიდვების მონეტარული ზღვრები ამაღლდა. კერძოდ, 20000-50000 ლარამდე საქონლისა და მომსახურების და 50000-120000 ათას ლარამდე სავარაუდო ღირებულების სამუშაოების შესყიდვა ფასთა კოტირების საშუალებით განხორციელდება. შესყიდვის ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელების მონეტარული ზღვარი კი 20000 ლარამდეა გაზრდილი.

ამასთან, 200 ლარამდე შემცირდა სატენდერო მოსაკრებელი. შეგახსენებთ, რომ აქამდე ეს მოსაკრებელი 500 ლარს შეადგენდა. ეს ცვლილება მნიშვნელოვნად გაზრდის შესყიდვის პროცედურებში მონაწილეთა რაოდენობას, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

გაუქმებულია პრეფერენციული შეღავათიც. ამ ცვლილებამ ისეთი მიზნების აღსრულებას უნდა შეუწყოს ხელი, როგორიცაა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ

გაგრძელება A2 გვერდზე

შანსი ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის

თბილისის მართვის ევროპული უმაღლესი სკოლა "ESM-თბილისი", ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით საქართველოში ყველაზე მსხვილი "თიბისი ბანკი", საქართველოში პირველი კერძო სადაზღვევო კომპანია "ალდაგი" და საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია "აგრიტექნიკს ჯგუფი" ერთობლივ სოციალურ პროგრამას განახორციელებენ. დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" პროექტის პრეზენტაცია გაიმართება.

სოციალური დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ნიჭიერი და ხელმოკლე პირველკურსელებისათვის "ESM-თბილისში" ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრიატის პროგრამის სწავლის საფასურის სრულ დაფინანსებას. მისი მიზანია, სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს დაეხმაროს მაღალი დონის ბიზნეს-განათლების მიღებაში, რაც შემდგომი წარმატებული კარიერის შექმნის აუცილებელი წინაპირობა გახლავთ.

უფრო კონკრეტულად კი - "ESM-თბილისის" ბაზაზე ანკეტების საფუძველზე მიღებული ათი კონკურსანტი 20 თებერვლიდან უფასოდ გაივლის სპეციალურ სერტიფიცირებულ მოსამზადებელ კურსებს 25 კვირის განმავლობაში.

"ESM-თბილისში" აღნიშნავენ, რომ საუკეთესო კონკურსანტების შერჩევის კრიტერიუმებს ფინანსური შესაძლებლობების შეზღუდულობა, მაღალი აკადემიური მონაცემები და კარიერული მოტივაცია წარმოადგენს.

მოსამზადებელი კურსების გავლის შემდეგ კი მხოლოდ 3 საუკეთესო კონკურსანტი დაფინანსდება. "აგრიტექნიკს ჯგუფი", "თიბისი ბანკი" და "ალდაგი" თითო სტუდენტს 3 წლის განმავლობაში დააფინანსებენ.

24 საათი

"ჩემი კუთვნილი მობილური რომელიღაც ოპერმუშაკს შემთხვევით თან გაჰყვა", - აცხადებს შალვა რამიშვილი

"დაკავების დღეს პირადი ჩხერეკისას ჩამომართვეს მობილური ტელეფონი, რომელიც ჩემი ოჯახის წევრებისთვის დღემდე არ გადაუციათ. დეტალური სატელეფონო ამონაწერებიდან ირკვევა, რომ ეს ტელეფონი გამოყენებაშია. როგორც ჩანს, ჩემი კუთვნილი მობილური რომელიღაც ოპერმუშაკს შემთხვევით თან გაჰყვა. გამოძიებას ვთხოვ, აღნიშნული ტელეფონი დაუბრუნდეს ჩემი ოჯახის წევრებს," - ეს განცხადება ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებელმა შალვა რამიშვილმა გუშინდელ სასამართლო სხდომაზე გააკეთა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ტერმინალ "ოპიზას" გენერალური დირექტორის მოადგილე ზურაბ ბაიდოშვილი დაკითხეს. ეს ის პიროვნება გახლავთ, რომლისგანაც, გამოძიების მასალების მიხედვით, პარლამენტარმა კობა ბექაურმა რამიშვილისთვის გადასაცემი თანხა ისესხა.

გაგრძელება A4 გვერდზე

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს განცხადება ქრმინალური ცნობიერების აღმოფხვრისკენ მიმართული ძმედებების მხარდასაჭერად

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრი ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები ზედმიწევნით ვაცნობიერებთ რა პასუხისმგებლობას, რაც ჩვენს მსახურებას თან სდევს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, ვადასტურებთ, რომ მუდამ მზად ვართ იმათი თანადგომისთვის, ვინც დღეს მოწყვეტილია საკუთარ ოჯახს, მშობლიურ გარემოს, ვისაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება და სხვადასხვა მიზეზით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იმყოფება.

ამასთანავე რელიგიათა საბჭოს წევრები ამოვდივართ იმ პრინციპებიდან, რასაც ჩვენი აღმსარებლობები ქადაგებენ და რაც საბჭოში გვაერთიანებს - ჩვენ ვისწრაფვით ზნეობრივი, სამართლებრივი და სამოქალაქო თვითშეგნების დამკვიდრებისკენ. აქედან გამომდინარე ვაცხადებთ, რომ ე.წ. ქურდული ცნობიერება არის ერთი უმთავრესი მანკიერებათაგანი ჩვენი საზოგადოების ნაწილისთვის. განსაკუთრებით მძიმე ტრავმა "შავი სამყაროს ტრადიციებმა" შესაძლოა, ჩვენს მომავალ თაობას, ჩვენს ახალგაზრდობას მიაყენოს; მოწყვიტოს იგი ქვეყნის აღმშენებლობისა და ჯანსაღი სულიერი და მორალური განვითარების პროცესს. კრიმინალური მენტალიტეტი, ე.წ. "ქურდული გაგება" რადიკალურად მიუღებელია ნებისმიერი რელიგიისთვის და ჩვენ შეგონებით, მორალური და სულიერი მხარდაჭერით მუდამ გადაჭრით ვეწინააღმდეგებით კრიმინალური ცნობიერების ნებისმიერ გამოვლინებას ყველგან და, განსაკუთრებით, სასჯელაღსრულებით ადგილებში.

თავისუფლებააღკვეთილ ჩვენს თანამოძმეებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ სულიერი და ზნეობრივი მხარდაჭერა. საზოგადოება სასჯელაღსრულებით სისტემას აღარ უნდა აღიქვამდეს დასჯისა და იზოლაციის მექანიზმად. აქ ადამიანების რეაბილიტაცია უნდა ხორციელდებოდეს. ამ ტიპის დაწესებულებებში ამგვარი გარემოს დასამკვიდრებლად კი აუცილებელია, სახელმწიფომ ძირეული რეფორმები განახორციელოს. თუმცა, ეს შეუძლებელი იქნება მანამდე, სანამ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში და მის გარეთაც დამკვიდრებული იქნება ე.წ. ქურდული კანონები, სანამ პატიმართა ბედის განმგებნი ე.წ. კანონიერი ქურდები და კრიმინალური ავტორიტეტები იქნებიან, სანამ პოლიტიკოსები და სამართალდამცავები გარიგებაში შევლენ ე.წ. შავ სამყაროსთან და იარსებებს ამ ნიშნით პრივილეგირებული და მეორეხარისხოვანი ადამიანების კასტები.

ჩვენ მხარს ვუჭერთ სამართლიანობისა და სამართლის დამკვიდრებისკენ მიმართულ ძალისხმევას, რომელსაც იჩენს ხელისუფლება, რადგან დაუშვებელად მიგვაჩნია, სახელმწიფომ და საზოგადოებამ ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს, შეინყნაროს ან წაახალისოს კრიმინალური იდეოლოგია და მისი დამამკვიდრებელი ძალები. ამავდროულად, ჩვენთვის გაუმართლებელი იქნება სამართალდამცავთა ყოველგვარი ძალადობა, რომელიც გაცდება კანონის ფარგლებს და შელახავს ადამიანის უფლებებს. ერთ ბოროტებასთან ბრძოლამ არ უნდა შვას მეორე ბოროტება.

საბჭოს წევრები თანადგომითა და სიყვარულით შევთხოვთ ჩვენს დებსა და ძმებს, რომლებიც დღეს, ამა თუ იმ მიზეზით, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში იმყოფებიან, რომ უფრო გულდასმით ჩაუფიქრდნენ მათ გარშემო მიმდინარე რეფორმირების პროცესს და გააცნობიერონ მისი აუცილებლობა. ჩვენ ყველანი ერთად ძლიერი, მშვიდობიანი, სამართლიანი და თანასწორუფლებიანი საქართველოსკენ უნდა ვისწრაფვოდეთ, მაგრამ იმაშიც ვართ დარწმუნებულნი, რომ ე.წ. ქურდული ტრადიციებისადმი ერთგულებით, თუნდაც მათ მიმართ ლოიალობით, ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობა შეუძლებელი იქნება, და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, - შეუძლებელი იქნება - თავისუფლება.

ხელმოწერები

1. ბაჰაის საზოგადოება საქართველოში
წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ეიმან როჰანი

2. ებრაული თემი
საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი
რაბი ავიმელეხ როზენბლატი

3. ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესია
მთავარ-ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი

4. ევანგელურ - ლუთერული ეკლესია
ეპისკოპოსი ანდრეას შტოეკლი

5. ევანგელისტური ეკლესია
პასტორი ზაალ ტყეშელაშვილი

6. ევანგელური ეკლესია "სიცოცხლის სიტყვა"
პასტორი მამუკა ჯღებისაშვილი

7. ევანგელური ეკლესია "სიცოცხლის სიტყვა" (გორი)
პასტორი შმაგი ჭანკვეტაძე

8. ევანგელური ეკლესია "ღმერთის საეკლესიო"
პასტორი მერაბ ბარბაქაძე

9. თბილისის ჯუმა მეჩეთთან არსებული მუსლიმთა სასულიერო კავშირი

10. კათოლიკე ეკლესია
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

11. კრიშნას ცნობიერების ტაძარი
ტაძრის პრეზიდენტი ანთიმოზ ნაცვლიშვილი

12. მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ეკლესია
პასტორი ემზარ ჭრიკიშვილი

13. რეფორმისტული ეკლესია "ურყევი საფუძველი"
პასტორი ვარლამ რამიშვილი

14. სახარების რწმენის ეკლესიათა კავშირი
ეპისკოპოსი ოლეგ ხუბაშვილი

15. სომეხთა სამოციქულო წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია
ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი

16. საქართველოს იეზიდთა კავშირი
იეზიდთა უხუცესების საბჭოს თავჯდომარე შეიხ ბაბეკი თენგიზ ბაკოიანი

17. უკანასკნელი დღეების წმინდანთა ეკლესია
წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ჯო რობერი

18. ხსნის არმია
კაპიტანი, რეგიონალური ოფიცერი გიორგი სალარიშვილი

ახალი კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სოსო ვარსიმაშვილი.

სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა.

კანონქვემდებარე აქტით შეიცვალა სატენდერო განცხადების გამოქვეყნების ბეჭდვითი ორგანოც. კერძოდ, ნაცვლად "საქართველოს რესპუბლიკისა", მითითებულია გაზეთი "24 საათი". ტენდერების შესახებ უახლესი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სააგენტოს და "24 საათის" საიტებზე: http://www.spa.ge და www.24saati.ge. აღსანიშნავია, რომ საიტზე მოთავსებულია მიმწოდებელთა ბაზაც, რათა შემსყიდველ ორგანოს მათი პოვნა არ გაუჭირდეს.

- რაიმე ცვლილება თუ შეეხო სატენდერო პროცედურათა განხორციელების ვადებს?

- დიახ, სატენდერო პროცედურათა განხორციელების ვადები მინიმუმამდეა შემცირებული, რაც საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებათა მიღებისა და შეფასების პროცედურების გაერთიანებით გახდა შესაძლებელი. ამჟამად ტენდერის განხორციელების ვადა 22-25 დღემდე მერყეობს. აქამდე კი ეს ვადები 35-45 დღემდე გრძელდებოდა.

ამასთან, ახალი კანონის მიხედვით, პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები სატენდერო კომისიას ერთობლივად, დახურული კონვერტებით წარედგინება. ადრე საკვალიფიკაციო მონაცემების შეტანის შემდეგ შემსყიდველი დაინტერესებულს პრეტენდენტად ამტკიცებდა. თუ ამ ეტაპზე მას რაიმე ხარვეზი აღმოაჩნდებოდა, შემსყიდველი დაინტერესებულს შემდეგ ეტაპზე აღარ უშვებდა. ამიერიდან დაინტერესებულმა ორგანიზაციამ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ერთად უნდა შეიტანოს, შემსყიდველმა ორგანიზაციამ კი ის აუცილებლად უნდა დაუშვას შეფასების ეტაპზე.

კანონის მიხედვით, სატენდერო კომისია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 20 კალენდარული დღით ადრე აქვეყნებს. რაც შეეხება საკვალიფიკაციო შეფასების ვადებს, ისინი ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღეში უნდა დასრულდეს.

- ახალი კანონის მოქმედების სფერო არა მარტო საბიუჯეტო ორგანიზაციებს, არამედ იმ კერძო სამართლის იურიდიულ პირებსაც მოიცავს, რომელთა საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტს სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ფლობენ. ანუ მსგავსი იურიდიული პირები ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოვიდნენ. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მათ მონიტორინგს ჩაატარებს. ამ ცვლილების მთავარი მიზანი სახელმწიფო თანხების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფაა.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას თუ აგრძელებს?

- ელექტრონული შესყიდვების ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნის მიზნით, აქტიურად ვთანამშრომლობთ მსოფლიო ბანკთან. ამასთან, რამდენადაც საქართველოში შესყიდვების ელექტრონულ სისტემასთან მუშაობის გამოცდილება არ არსებობს, აუცილებლად მიგვაჩნია, მოწვეული უცხოელი ექსპერტების დახმარებით, სააგენტოს პერსონალის გადამზადება.

ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტექნიკური ბაზის განახლება და მისი სტანდარტებთან მიახლოების კუთხით აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID).

ორი სიტყვით

მოსკოვი. იგორ გიორგაძე მოსკოვში საკუთარი პარტიის "სამართლიანობის" ოფისში ქართველ და რუს ჟურნალისტებს ტელეხიდის საშუალებით ესაუბრა.

იგორ გიორგაძის განცხადებით, საქართველოს პარლამენტი აუცილებლად მიიღებს რუსი სამშვიდობოების გაყვანის გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც, მისი პროგნოზით, საქართველო შეიარაღებულ დაპირისპირებაზე გადავა და ტერიტორიების დაბრუნებას ძალისმიერი მეთოდებით ეცდება. გარდა ამისა, გიორგაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მას პოლიტიკური ნიშნით დევნის. იგორ გიორგაძე საკუთარი თავის ლეგალიზაციის მიზნით, რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს.

გიორგაძემ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას "ვარდისფერი ხელისუფლება" უწოდა და განაცხადა, რომ "სააკაშვილიზმი მიმდინარე წელს დასრულდება".

გიორგაძე, თავის მხარდამჭერებთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებას "ჭინჭრების რევოლუციით" ემუქრება.

"ეს იქნება ხავერდოვანი რევოლუცია, ხოლო საქართველოს ხელისუფლება თუ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ წავა და სისხლს დაღვრის, საერთოდ განადგურდება," - განაცხადა გიორგაძემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

მოსკოვი. მოსკოვში მყოფი ოსი სეპარატისტების ლიდერი ედუარდ კოკოითი აცხადებს, რომ იგი მზად არის, შეხვდეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. იგი, ასევე, მზად არის, სააკაშვილთან "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმაც განიხილოს.

რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ საქართველოს პარლამენტის შესაძლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კოკოითი აცხადებს, რომ ეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული. **მედიანიუსი**

■ ■ ■

სოხუმი. სეპარატისტული სოხუმის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, ჟენევაში 2-3 თებერვალს გამართულ გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის სხდომაზე, რომელსაც ქართულ-აფხაზური მხარეებიც ესწრებოდნენ, პოლიტიკური და ჰუმანიტარული საკითხები განიხილეს. ''აფხაზურმა მხარემ დაადასტურა თავისი მზადყოფნა გალის რაიონთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების შესახებ. ვგულისხმობ რაიონში არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მონიტორინგის ხელშეწყობისა და სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების უზრუნველყოფას", - აცხადებს შამბა.

რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს, შამბას თქმით, გაეროს წარმომადგენლების დასკვნით, განცხადებებში ერთმა საინტერესო თეზისმა გაიჟღერა. ''გაერო მზადაა, ე.წ. ბოდენის დოკუმენტის პარალელურად, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების მიზნით სხვა დოკუმენტებიც განიხილოს. ჩვენთვის ბოდენის დოკუმენტი მიუღებელია, რადგან ის საქართველოს შემადგენლობაში სოხუმსა და თბილისს შორის უფლებამოსილების გამიჯვნას გულისხმობს. კონფლიქტის მოგვარების საფუძვლად გაეროს ჩვენ მიერ შემუშავებული ახალი პროექტის განხილვას ვთავაზობთ", - აცხადებს შამბა. **მედიანიუსი**

რუსეთი "თავისი მოქალაქეების" დაცვას ავირებს

გაზეთ "ვრემია ნოვოსტეი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება სამშვიდობო ძალებზე გადაწყვეტილების მიღებას სრული პასუხისმგებლობით მოეკიდებიან. "ჩვენი პოზიცია ნათელია: სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა და ჩვენ არა გვაქვს სხვა არჩევანი, გარდა მათი უფლებებისა და რეგიონში სტაბილურობის დაცვისა," - აცხადებს კარასინი.

მისივე თქმით, საპარლამენტო მოსმენის წინ, რომელზეც "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ყოფნის საკითხი უნდა გადაწყდეს, საქართველოს სამხედრო უწყება შეგნებულად ძაბავს ვითარებას.

კარასინის მაგალითად მოჰყავს 31 იანვრიდან 1 თებერვლის ღამეს, ტყვიავში რუს სამშვიდობოებსა და ქართველ ძალოვნებს შორის მომხდარი დაპირისპირება. "პროვოკაცია, როგორც ჩანს, გათვლილი იყო იმაზე, რომ რუს სამშვიდობოებს ნერვები უმტყუნებდათ,"- აცხადებს კარასინი.

მისი თქმით, რუსული მხარის დამახურებაა, რომ ტყვიავში ძალისმიერი სცენარი არ განვითარდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ინტერვიუში, ასევე, კომენტარს აკეთებს რუსეთ- საქართველოს ჩარჩო ხელშეკულების შესახებაც. კარასინის თქმით, რუსული მხარის მიდგომაა, რომ ხელშეკრულებამ გარკვეული შედეგები შეაჯამოს და ორმხრივი ურთიერთობების ახალი კონტურები გამოკვეთოს. "სამწუხაროდ, რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებული ატმოსფერო, რბილად რომ ვთქვათ, ხელს არ უწყობს მეგობრობის შესახებ ხელშეკრულებაზე მუშაობის წინსვლას," - აცხადებს გრიგორი კარასინი. **მედიანიუსი**

საბიუჯეტო მონიტორინგი

ტერიტორიული ბიუჯეტების 20% უკონტროლო ხარჯებზე მიიმართება

* "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისაგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს პროექტს "სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანტიკორუფციული ექსპერტიზა". მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" აგებს.

მოგეხსენებათ, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი "სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანტიკორუფციულ ექსპერტიზას" უკვე არაერთი თვის განმავლობაში ახორციელებს. სამწუხაროდ, განვლილი პერიოდის მანძილზე საკმაოდ ხშირად დგებოდა ხოლმე დღის წესრიგში პრობლემა, რომელიც სახელმწიფო უწყებებიდან შესაბამისი ინფორმაციის დროულად და სრულყოფილად მიღებას უკავშირდება. ეს პრობლემა მეტ-ნაკლები სიმწვავით იჩენს ხოლმე თავს თითქმის ყველა საბიუჯეტო თვის განმავლობაში. თუმცა, განსაკუთრებით მწვავე ის მთელი წლის შედეგებთან მიმართებაში გახდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჯერაც არ აქვთ 2005 წლის შეჯამებული შედეგები და, როგორც სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, ეს მონაცემები საბოლოო სახით მზად იქნება არაუადრეს თებერვლის ბოლოსი. შესაბამისად, დასკვნების კეთება კვლავაც მხოლოდ 2005 წლის 11 თვის შედეგების მიხედვით გვიწევს. თუმცა, გარკვეული ტენდენციების დასანახად ესეც იძლევა საფუძველს.

როდესაც ხდება ბიუჯეტირების ზოგადი პოლიტიკის, მიმდინარე საბიუჯეტო პროცესების, ასევე ცალკეული შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი და ტენდენციებზე დაკვირვება, როგორც წესი, ძირითადი აქცენტი მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტის ნაწილზე კეთდება ხოლმე. არადა, როგორც მონაცემები უჩვენებს, არანაკლებ საინტერესო პროცესები მიმდინარეობს ტერიტორიულ ბიუჯეტებში. ამავე დროს, საკმაოდ საინტერესოა ის კავშირებიც, რაც ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის იკვეთება და ის ტენდენციებიც, რომლებიც ამ ურთიერთკავშირის ანალიზისას მჟღვნდება. კერძოდ, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედარება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებში ბევრი ის მანკიერება თუ სისუსტე თითქმის უცვლელად მეორდება, რაც პარალელურად ცენტრალურ ბიუჯეტში იმავე პერიოდში ხდება.

მაგალითად, საგადასახადო შემოსავლების პარამეტრი ტერიტორიულ ბიუჯეტებშიც ყოველთვის გაცილებით მაღალი ნიშნულით სრულება, ვიდრე არასაგადასახადო და სხვა შემოსავლები. იმავდროულად, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საგადასახადო შემოსავლებში რაიონებში მაინც საკმაოდ სოლიდური გარღვევები ფიქსირდება. მაგალითად, 11 თვის მონაცემები ნათელყოფს, რომ საგადასახადო შემოსავლების პარამეტრი გაირღვა თბილისში (8%-ით), აჭარაში (13%), კახეთის უმეტეს რაიონებში (სხვა და სხვა რაიონებში 4-დან 12%-მდე), რამაც განაპირობა ის, რომ ტერიტორიული ბიუჯეტების ნაერთი გეგმის შესრულებას 5% დააკლდა (რიცხობრივ გამოსახულებაში ეს მაჩვენებელი 30 მილიონ ლარს შეადგენს).

იმავდროულად, საგულისხმო და აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პარალელურად ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების გეგმა ყოველთვის გადაჭარბებით სრულდებოდა, რაც წარმოშობს ეჭვს ტერიტორიულებიდან ცენტრალურ ბიუჯეტებში თანხების გადადინების შესახებ ცენტრალური ბიუჯეტის შევსების უზრუნველსაყოფად.

კიდევ უფრო მოკრძალებული შედეგებია ტერიტორიულ ბიუჯეტებში არასაგადასახადო შემოსავლების აკრეფის კუთხით. დაგეგმილ მაჩვენებელზე გასვლა ან მისი გადაჭარბება სულ რამდენიმე რაიონში მოხერხდა. მათგან აბსოლუტური რეკორდსმენია ფოთი (გეგმა შესრულდა 278%-ით, ძირითადად საპრივატიზებო გარიგებების ხარჯზე), შემდეგ კლების მიხედვით მოდიან ახმეტა (177%), დედოფლისწყარო (137%), ადიგენი (113%), წყალტუბო (111%), დმანისი (100%). დანარჩენ 7 ათეულამდე რეგიონში არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების გეგმა ყველგან ჩავარდა, აქედან რამდენიმე მათგანში გარღვევა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო: მაგალითად, ლენტეხში (გეგმა მხოლოდ 2,2%-ით შესრულდა), ჩოხატაურში (4,3%), ონში (7,2%), ცაგერში (9,2%), მარტვილში (9,9%), ხარაგაულში (11,3%) და ა.შ., რაც მეუთითებს, რომ უმეტეს რეგიონებში ან მოსალოდნელი შემოსავლების დაგეგმვა ხდება არასწორად (რეალურზე გაცილებით მაღალი მოცულობით), ან აქაც არსებობს ალბათობა, რომ ცენტრალური ბიუჯეტის პარამეტრის გასაუმჯობესებლად რეგიონებში მობილიზებული თანხები ცენტრში "იქაჩება".

ტერიტორიული ბიუჯეტების შემოსავლების ნაწილში არსებული სირთულეები, თავისთავად ცხადია, ავტომატურად განაპირობებს ხარჯვით ნაწილში არსებულ პრობლემებსაც. შარშანდელი 11 თვის მონაცემები მიუთითებს, რომ ამ მხრივ ტერიტორიულ ბიუჯეტებში პრობლემები ცენტრალურზე მეტი თუ არა, ნაკლები ნამდვილად არ იყო. და ეს თანაბრად ეხება როგორც ზოგადად ტერიტორიული ბიუჯეტების ხარჯვითი ნაწილის მდგომარეობას, ასევე თითოეულ საჭიროებაზე გამოყოფილი თანხების მოცულობას.

თვალსაჩინოებისთვის რამდენიმე მაგალითის მოყვანაც კმარა: თავდაცვის სფეროზე მიმართული ხარჯები ძალიან ბევრ რაიონში არათუ არ არის სრულად დაფინანსებული, ზოგან სულაც სიმბოლური სახით არის წარმოდგენილი (მაგალითად, აბაშაში სამხედრო საჭიროებებზე დაგეგმილი თანხის მხოლოდ 9,9% მიიმართა). ასეთი არასათანადო ფინანსირების შედეგად კი მივიღეთ სურათი, როდესაც ტერიტორიული ბიუჯეტებიდან სამხედრო საჭიროებები სათანადო სახსრებით ჯამურად მხოლოდ 76%-ით არის უზრუნველყოფილი. კიდევ უფრო კატასტროფული ვითარებაა საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების ღონისძიებათა დაფინანსების თვალსაზრისით: აქ დაგეგმილი თანხებიდან რეალურად მხოლოდ 59%-ია გამოყოფილი. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ჩავარდნა, ძირითადად, თბილისის წილად მოდის, რომლის ადგილობრივმა ბიუჯეტმაც ეს სფერო მხოლოდ 50%-ით დააფინანსა.

იმავე თბილისის ბიუჯეტის მაგალითზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის ცნობილი "დაავადების" მსგავსად, ტერიტორიული ბიუჯეტებშიც საკმაოდ პოპულარულია საბიუჯეტო მუხლი "სხვა საქონელი და მომსახურება", რომელიც, ტრადიციულად, მოკლებულია გამჭვირვალობის ყველანაირ ელემენტს. ამ არატრანსპარენტული არხით 11 თვის განმავლობაში დაუზუსტებელ საჭიროებებზე მარტო თბილისის ბიუჯეტმა 86 მილიონი ლარი მიმართა, მთელი საქართველოს ტერიტორიულმა ბიუჯეტებმა კი შარშანდელი იანვარ-ნოემბრის პერიოდში ამ ხაზით 146 მილიონი ლარი "მოინელეს". და ეს მაშინ, როცა მთელ რიგ რაიონებში დაუფინანსებელი დარჩა, მაგალითად, კაპიტალური ხარჯები: იმავე ახმეტის რაიონში ეს ხარჯები მხოლოდ 29%-ით იქნა გაწეული, სამტრედიაში - 45%-ით, კასპში - 50%-ით, წყალდიდობით დაზარალებულ ოზურგეთში კი - მხოლოდ 39%-ით.

სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე (მინიმალური სოციალური პაკეტის უზრუნველყოფაზე) ასევე ბევრ რაიონში სათანადო მოცულობის ხარჯი არ იქნა გაწეული. კონკრეტულად, ეს ღონისძიებები ვანში 66%-ით, ყაზბეგში - 69%-ით, გურჯაანში - 72%-ით, ადიგენში - 76%-ით, ყვარელსა და ახალქალაქში - 80%-ით დაფინანსდა. დროებით შრომის უუნაროთათვის გასაწევი სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმართულება კი კიდევ უფრო ცუდად დაფინანსდა: მაგალითად, ნინოწმინდაში ამ ხაზით დაგეგმილის მხოლოდ - 35% მიიმართა, დმანისში - 33%, აბაშაში - 13%, მესტიაში - 12%, ლაგოდეხში, სიღნაღში და ზესტაფონში კი ამ მიმართულებით დაგეგმილიდან ერთი თეთრიც არ დახარჯულა.

ასეთ ფონზე ანუ მაშინ, როცა კონკრეტულად გაწერილი მუხლები საერთოდ არ ან არასრულყოფილად ფინანსდებოდა, განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 11 თვის მონაცემებით, "სხვა საქონლისა და მომსახურების" ანუ ყველაზე ბუნდოვანი მუხლით ტერიტორიულ ბიუჯეტებს სულ 170 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯი ჰქონდათ გაწერილი, ძირითადად ამავე პერიოდში მათი ჯამური შემოსულობები სულ 847 მილიონ ლარს შეადგენდა. ეს კი ნიშნავს, რომ ტერიტორიული ბიუჯეტების 20% ანუ ყოველი ხუთი ლარიდან ერთი ლარი გაუწერელ, დაუსაბუთებელ და, შესაბამისად, უკონტროლო ხარჯებზე მიიმართება, რაც ვერაფრით გამოდგება ტერიტორიული ბიუჯეტების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ეტალონად. ეს ფაქტორი კიდევ ერთია იმ საკმაოდ დიდ წყებაში, რომელიც მიუთითებს, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებში მეტ-ნაკლები დოზით ზუსტად მეორდება ის მანკიერებები, რაც ცენტრალურ ბიუჯეტს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახასიათებს.

უცნობი თავისუფლება

FM ცნობა 98.0

გადაცემის სტუმარია "ახალი მემარჯვენეების" წევრი დავით საგანელიძე

კობა ლიკლიკაძე: რაჭაში მომხდარმა მიწისძვრამ, მიაყენა თუნდაც მცირედი ზარალი მოსახლეობას?

დავით საგანელიძე: რა თქმა უნდა. დღეის ინფორმაციით ოთხი სახლია დანგრეული. საბედნიეროდ, ხის სახლები უფრო უძლებს რყევას. ძალიან დაზიანებულია ქალაქ ონში და ამბროლაურში ხუთ სართულიანი კორპუსები, რომლებიც აქამდეც დაზიანებული იყო და დახმარებას საჭიროებდა. თუ ამ სახლებს სასწრაფოდ არ გავამაგრებთ, ის შეიძლება ოდნავ რყევაზეც კი დაინგრეს.

კ.ლ. იმედია საპარლამენტო ტრიბუნას, მომავალ სესიაზე, ამ საკითხის მოსაგვარებლად გამოიყენებთ ...

დ.ს. რა თქმა უნდა.

კ.ლ. საქართველოში საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური ძვრებია. სწორედ, ამ ძვრების შედეგად გაიყო საპარლამენტო ოპოზიციური ფრაქცია "ახალი მემარჯვენეები". არა და გასული წელი დამთავრდა ოპოზიციის ოპტიმისტური განწყობით, რომ 2006 წელს მოხდებოდა საპარლამენტო უმრავლესობის რიგების გახლეჩვა , თუმცა ეს საპირისპიროდ მოხდა. ბატონო დათო, რატომ ვერ შეინარჩუნეთ ერთიანობა?

დ.ს. სიმართლე, რომ გითხრათ ძალიან მტკივნეული საკითხია. დავიწყებ იქიდან, რომ, რა თქმა, უნდა ხელისუფლება ვერ ეგუება იმას, რომ ნაწილმა დეპუტატებმა დატოვეს უმრავლესობის რიგები და ცალკე ფრაქცია შექმნეს. ამის ფონზე სახელისუფლებლო ძალებს ჰქონდა სურვილი, რომ ოპოზიციურ ფრაქციაში ჩაედო შუღლი, რაც შესანიშნავად გამოუვიდათ. როგორც ჩანს, ამის შესახებ საუბარი, დიდი ხნის წინ მიდიოდა . სამწუხაროდ, ჩვენ ამის შესახებ, ბოლოს გავიგეთ. მრეწველები თავიანთ პოზიციას ხშირად ასაბუთებდნენ, რომ ჩვენ ვართ გარკვეული ბლოკი მემარჯვენე ოპოზიციის სახით პარლამენტში და ძალიან კარგი იქნება, თუ დაგვემატებიან ადამიანები და ორი ოპოზიციური პარტიის სახით ვიქნებით წარმოდგენილი. ამას ჩვენ არ ვეთანხმებოდით. როდესაც, ასეთი რამ კეთდებოდა, ჩვენთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი. მეორე მხრივ, ჩვენთვის დეტალურად იყო ცნობილი, ვის კაბინეტებში ხდებოდა გადმოსასვლელი დეპუტატების "დავერბოვკება". ეს იყო : მაჭავარიანის , კირკიტაძისა და გიორგი არველაძის კაბინეტში. არველაძე ჩართეს იმიტომ , რომ პრეზიდენტის პოზიცია ყოფილიყო ნათელი. ეს იყო მხოლოდ შირმა იმისა, რომ მოსახლეობისთვის ეთქვათ: აი, ახალი პოლიტიკური პარტია, რომელიც ოპოზიციაშია. მოგეხსენებათ, მალე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია, სადაც მათ, როგორც ჩანს, სჭირდებოდათ ოპოზიციური პარტია, რომელიც, ფაქტობრივად სახელისუფლებო ხაზს გაატარებდა, მაგრამ ითამაშებდა ოპოზიციის როლს. ეს, ალბათ, შესაძლებელი გახდა იმითიც, რომ იყო ზეწოლა იმ ბიზნესებზე, რომელსაც ამ პოლიტიკური პარტიის ლიდერები აწარმოებდნენ.

კ.ლ. ჯერ ამ ფრაქციას არ გაუკეთებია არაფერი ისეთი, რომ ვთქვათ, ეს არის სახელისუფლებო ძალა. ხომ არ ჩქარობთ, როდესაც უბიძგებთ ამ ახალ ძალას, იყოს ხელისუფლების?

დ.ს. დარწმუნებული ვარ, რომ უმრავლესობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მათგან მხარდაჭერილი იქნება .

მსმენელი: პირადად მე ძალიან დიდ პატივს ვცემდი მრეწველებს, ვიდრე მემარჯვენეებს და ძალიან გამიხარდა, თუკი მართლა ჩამოსცილდნენ მემარჯვენეებს...

კ.ლ. ბატონო დათო, ეცდებით თუ არა, სხვა პოლიტიკური ძალებიდან გადაიბიროთ რესურსი, რადგან თქვენ უკვე ათკაციანი ფრაქცია გაქვთ და ახლოს ხართ იმასთან, რომ შესაძლოა, ფრაქცია არ გქონდეთ. რას აპირებთ?

დ.ს. ჩვენ ათნი ვართ. მოგეხსენებათ ათზე ნაკლებ შემთხვევაში ფრაქცია იშლება. რა თქმა უნდა, ესეც გარკვეულწილად გათვლილი ჰქონდა უმრავლესობას. მე არ მგონია, რომ იმ ათ ადამიანში, ვინც ფრაქციაში ვართ, მოიძებნოს სუსტი წერტილი. მე შინაგანად ამაში დარწმუნებული ვარ. არსებობს რამოდენიმე ვარიანტი იმისა, რომ ჩვენს პოლიტიკურ პარტიაში გადმოვიდნენ სხვადასხვა ადამიანები მაჟორიტარების კორპუს

პარლამენტი „მოლოდინის რეჟიმში" გადადის

პირველი გვერდიდან

ასეთი გეგმა იქნა დასახული პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა ესწრებოდნენ. მთავრობის წარმომადგენელთა გამოსვლებსა და შეფასებებში რაიმე განსაკუთრებული ან მოულოდნელი არაფერი ყოფილა. გოგა ხაინდრავას თქმით, სოჭის 1992 წლის შეთანხმების ოთხი მთავარი პუნქტიდან არც ერთი არ შესრულებულა და, ამდენად, საქართველოს ხელისუფლებას სრული საფუძველი აქვს, ამტკიცოს, რომ სამშვიდობო ოპერაცია, მისი დაწყების პირველივე დღიდან, პრაქტიკულად, ჩაშლილია.

"ყველა სამშვიდობო გეგმის საფუძველი შუამავალი მხარის ნეიტრალურობაა. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსულმა მხარემ კონფლიქტური რეგიონის მოსახლეობის პასპორტიზაცია დაიწყო, მივიღეთ სიტუაცია, როდესაც რუსი სამშვიდობოები საკუთარი თანამოქალაქეების ინტერესებს იცავენ," - მოსკოვის მიუკერძოებლობის არ სჯერა გოგა ხაინდრავას.

სახელმწიფო მინისტრი შერეულ საკონტროლო კომისიასაც აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ეს სტრუქტურა გადაიქცა სექტად, რომლის შიგნითაც

იტარ-ტასის ფოტო

რა ხდება, არავინ იცის. **"შერეული საკონტროლო კომისიის სხდომებზე ჩვენი არც ერთი წინადადება და ინიციატივა არ გადის, რადგან შეგნებულად ხდება მათი ბლოკირება,"** - აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი.

რაც შეეხება ბიუროს სხდომაზე პრემიერ-მინისტრის გამოსვლას, მას, ძირითადად, შეფასებითი ხასიათი ჰქონდა. მთავრობის თავმჯდომარე აანალიზებს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებიდან განვლილ ოთხ თვეში მიმდინარე მოვლენებს და ასეთი დასკვნა გამოაქვს: **"რუსეთის მხრიდან ადგილი აქვს სამშვიდობო გეგმის რეალიზებისა და კონფლიქტის მოგვარების გაჭიანურების მცდელობას. სამშვიდობო პროცესში პროგრესი კი არა, რეგრესი შეიმჩნევა."**

მთავრობის შეფასებებს მთლიანად ეთანხმება პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელიც ადასტურებს, რომ გასული წლის ოქტომბრის შემდეგ კონფლიქტურ რეგიონში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა.

"საქართველოს ხელისუფლების თვითმიზანი არასოდეს ყოფილა სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნა და რუსეთთან ურთიერთობის გართულება. მაგრამ როდესაც სამშვიდობო ძალები თავიანთ ფუნქციას ვერ ან არ ასრულებენ, ნებისმიერ თავმოყვარე ქვეყანას და ერს უჩნდება მოთხოვნა, გადაიხედოს მათი მანდატი და, საერთოდ, დაისვას მათი გაყვანის საკითხი," - განაცხადა ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძემ.

მთავრობისა და პარლამენტის ხელმძღვანელობის გუშინდელი გადაწყვეტილებით ოპოზიცია უკმაყოფილო დარჩა. ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" ლიდერი დავით ზურაბიშვილი პრემიერ-მინისტრის პოზიციას "ორჭოფულს" უწოდებს და არ გამორიცხავს, რომ პარლამენტის მიერ 2005 წლის ოქტომბერში მიღებული დადგენილების შესრულებაზე აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უარი თქვას.

კიდევ უფრო მკვეთრ განცხადებას აკეთებს ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" თავმჯდომარე დავით გამყრელიძე, რომლის მტკიცებითაც, **"საქართველოს პრეზიდენტმა რუსი სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით პოზიცია შეიცვალა".** ოპოზიციონერი დეპუტატი ვარაუდობს, რომ პარლამენტი შესაბამის დადგენილებას კი მიიღებს, მაგრამ მასში დაკონკრეტებული არ იქნება სამშვიდობო ძალების გაყვანის ვადები. გამყრელიძე ირწმუნება, რომ საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება სოჭის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შემდეგ, კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგას და რა ქმედითი ღონისძიებების გატარებას აპირებს საქართველოს ხელისუფლება.

რამდენად საფუძვლიანია ოპოზიციის ვარაუდები და ეჭვები, საგაზაფხული სესიის პირველსავე პლენარულ სხდომაზე გაირკვევა.

უკახოეთი

იმპროვიზებული სამხედრო თამაშები რეალური კონფლიქტის მოსაგვარებლად

ირანში შეჭრის ოპერაციის სცენარი უკვე დიდი ხანია არსებობს

ყოველთვიურმა ჟურნალმა "ატლანტიკა" ახლახანს გამოაქვეყნა სტატია, სადაც მოთხრობილია "სამხედრო თამაშებზე", რომლებიც ირანის წინააღმდეგ დაგეგმილი სამხედრო ოპერაციების სხვადასხვა ეტაპების მიმდინარეობას გულისხმობს.

ამერიკული გამოცემის მტკიცებით, იმპროვიზებული სამხედრო თამაში "ატლანტიკამ" ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე ჩაატარა.

რასაკვირველია, ეს თამაში არ ატარებდა ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრების ხასიათს. იგი ერთ ოთახში მიმდინარეობდა, სადაც რამდენიმე ექსპერტი სამი საათის განმავლობაში ცდილობდა ჰიპოთეტიკური კრიზისის წარმატებით მოგვარების გზების შემუშავებას.

თამაშების სცენარის ავტორია აშშ-ს საჰაერო ძალების პოლკოვნიკი, სემო გარდინერი. იგი წლების განმავლობაში პროფესიულ მოღვაწეობას ეწეოდა უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში, ასევე მონაწილეობდა ერაყის წინააღმდეგ განხორციელებული საომარი მოქმედებების მოდელის შექმნაში.

გარდინერის გარდა თამაშებში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის ადმინისტრაციის ექსპერტებმა ახლო აღმოსავლეთის საკითხებში. სცენარის მიხედვით, რომელსაც სპეციალისტები და ექსპერტები სანდოსა და საფუძვლიანს უწოდებენ, ცნობილია, რომ ირანის წინააღმდეგ განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის საჭიროა აზერბაიჯანის ტერიტორიის გამოყენება. კერძოდ, აზრბაიჯანში განთავსდება ამერიკული საჰაერო ძალები. ასევე გამოყენებული იქნება ერაყსა და ავღანეთში დისლოცირებული ამერიკული საჯარისო დანაყოფები. როგორც გამოცემა იუწყება, ამერიკა საკუთარი ძალების დისლოცირებისთვის გამოიყენებს საქართველოს ტერიტორიასაც, თუმცა ამ ქვეყანაში აუცილებელია აეროდრომების რეკონსტრუქცია, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები აეროდრომზე ვერ განთავსდებიან. ამ სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის 700 მლნ დოლარს გამოყოფენ.

აღსანიშნავია, რომ ყოველთვიური ჟურნალის მიერ მომზადებულმა სცენარმა პენტაგონის ექსპერტების უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. შესაბამისად, ამერიკულ-ირანული კონფლიქტის დასაწყისი, შესაძლოა, სწორედ ამ სცენარით განვითარდეს.

ირანის წინააღმდეგ ომის სტრატეგიას ამზადებს ისრაელიც. ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ 2005 წლის დეკემბერში ღიად განიხილა ირანის წინააღმდეგ განსახორციელებელი შესაძლო "პრევენციული დარტყმა". ეს ნაბიჯი, ისრაელის სამხედროების განცხადებით, განპირობებული იქნება იმ მიზეზით, თუ თეირანი ურანის გამდიდრებას კვლავ შეუდგება. უფრო მეტიც, ებრაელი ექსპერტების ვარაუდით, 2-3 წლის შემდეგ, ირანმა შესაძლოა, ატომური იარაღი შექმნას.

როგორც ცნობილია, 2005 წლის 11 დეკემბერს ისრაელის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ამოს ჰიპადმა განაცხადა, რომ "თუ ირანი გააგრძელებს ატომური იარაღის შექმნას, გამორიცხული არ არის, ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები დაიწყოს".

ექსპერტთა უმრავლესობა ირანზე სამხედრო დარტყმის ალბათობას იზიარებს, თუმცა, განმარტავენ, რომ საომარი მოქმედებები არ ნიშნავს ქვეყნის ოკუპაციას, არამედ, ღონისძიებები გაითვალისწინებს ატომური ობიექტების განადგურებას. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აღნიშნულ ოპერაციებში მნიშვნელოვან როლს ისრაელის ჯარი შეასრულებს.

24 საათი

„უნდა დაიჯეროთ, რომ ხართ თავის უფალი!"

პირველი გვერდიდან

საღამე ზურაბიშვილის სცენაზე მარტო იდგა. პარტიის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, თუმცა მისი თანამოაზრეების ვინაობა, ვინც პარტიის სახედ წარუდგება საზოგადოებას, საიდუმლოდ შეინახა.

"ჩვენ ავირჩიეთ დემოკრატიული, თანამედროვე და ევროპული, ამავდროულად, ქართული - ნიკო ნიკოლაძის გზა," – განაცხადა ზურაბიშვილმა, რომელსაც, როგორც თავად განაცხადა, პარტიის შექმნის აუცილებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის სურვილმა აიძულა.

ზურაბიშვილის პროგრამაში ოთხი ძირითადი მიმართულებაა: პირველი - ქვეყნის პოლიტიკური გათავისუფლება საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების კონტროლს გულისხმობს. ამისთვის კი აუცილებელია მედიის თავისუფლება, ძლიერი არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობა. პროგრამის თანახმად, უნდა დაარსდეს უხუცესთა საბჭო, რომელიც სასამართლოს გვერდით იმუშავებს, როგორც ალტერნატიული სამართალდამცავი ორგანო.

პროგრამის №2 ამოცანა ერისა და საზოგადოების გაჯანსაღებაა. "ქართულ გზას" საზოგადოებისთვის მეხსიერების დაბრუნება სურს. **"მეხსიერების დაბრუნება სიმართლის თქმას, ჩვენი წარსულის გაგებას ნიშნავს. უნდა ამოქმედდეს ლუსტრაციის კანონი, რომელიც არათუ ადამიანებს, არამედ მათ ფუნქციებს განსჯის. უნდა გამოცხადდეს ამნისტია. ვაპირებთ ვებ-საიტის გახსნას, სადაც საქართველოს მოქალაქეები თავიანთ ისტორიებს დაწერენ. ამგვარად, დაიწერება ჩვენი ისტორიის ის ფურცლები, რომელიც აქამდე არ თქმულა,"** - განაცხადა საღამე ზურაბიშვილმა, რომელიც გლეხობისა და არისტოკრატიის ფენების აღდგენის მომხრეა. ამ საკითხს მისი პროგრამის ერთი პუნქტი აქვს დათმობილი. **"გლეხებისთვის მათი ფუნქციის დაბრუნება ადგილობრივი თვითმართველობის გაძლიერების პირდაპირპროპორციულია. ამავდროულად, უნდა გაუქმდეს თვითმმართველობის ახალი კანონი, რომელიც სოფელს, როგორც თვითმმართველობის ერთეულს, აუქმებს,"** – აღნიშნა ახალი პარტიის თავმჯდომარემ.

მესამე თავი ქვეყანაში ეკონომიკის აღორძინებას ეხება. **"ერის გამოცოცხლება უნდა მოხდეს ლიბერალური და სოლიდარული ეკონომიკით. ჩვენი პოლიტიკის ერთადერთი საყრდენი კერძო საკუთრება და მისი ხელშეუხებლობა უნდა იყოს. კერძო საკუთრება ყველაფრის პრივატიზაციას და ამ საკითხის უკონტროლობას არ გულისხმობს. პრივატიზაცია, პირველ რიგში, საზოგადოებისთვის უნდა იყოს მისაღები,"** – აცხადებს ზურაბიშვილი.

რაც შეეხება მეოთხე თავს, რომელიც ქვეყნის მოწყობის პრინციპს ეხება, ზურაბიშვილის პარტია მიიჩნევს, რომ საქართველომ გამთლიანების პოლიტიკა დიასპორებთან ურთიერთობით უნდა დაიწყოს. **"კონფლიქტების გადაჭრა კი პრინციპულად ქართულად უნდა მოხდეს და არ უნდა იქნას უცხოელების მიერ მოგვარებული,"** – აღნიშნა საღამე ზურაბიშვილმა, რომელიც ხალხს შიშისგან და დაუსჯელობის სინდრომისგან გათავისუფლებისკენ მოუწოდებს: **"უნდა დაიჯეროთ, რომ თავს თავად მართავთ, რომ ხართ თავის უფალი!"**

კარიკატურების კონკურსი ირანულ პრესაში

პოპულარულმა ირანულმა გაზეთმა "ჰამშაჰრიმ" ჰოლოკოსტის თემაზე კარიკატურების საერთაშორისო კონკურსი გამოაცხადა.

გამოცემის წარმომადგენელთა თქმით, კონკურსი სიტყვის თავისუფლების იმავე პრინციპებს შეესაბამება, რომლის ერთგულნიც არიან ევროპელები. როგორც გაზეთის არტ-დირექტორმა ფარიდ მორთაზავმა აღნიშნა, დასაწყისში მულიმთა რელიგიურ თემაზე შეურაცხმყოფელი კარიკატურები დანიურმა გაზეთმა "იულანდს პოსტენმა" გამოაქვეყნა, შემდეგ მის მაგალითს სხვა ევროპულმა გაზეთებმაც მიბაძეს და სიტყვის თავისუფლების საბაბით მკრეხელური სურათები (წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები) გაავრცელეს, "ახლა მოდით, ვნახოთ, მართლაც მზად არიან თუ არა გამოცხადებული პრინციპების ერთგული დარჩნენ და ჰოლოკოსტის თემაზე კარიკატურები გამოაქვეყნონ," - განაცხადა მორთაზავიმ.

მისი თქმით, კონკურსის პირობები გაზეთის სამშაბათის ნომერში გამოქვეყნდება. კონკურსში გამარჯვებული 12 ავტორი დიდ ფულად პრიზებს მიიღებს.

"ჰამშაჰრის" კონგრესის საპრიზო ადგილების რაოდენობა დანიურ გაზეთ "იულანდს პოსტენ"-ში გამოქვეყნებული მუჰამედ-წინასწარმეტყველის კარიკატურების რაოდენობას ემთხვევა.

ევროპის რამდენიმე გაზეთში კარიკატურების გამოჩენამ მთელ მსოფლიოში მუსლიმთა მასობრივი პროტესტები გამოიწვია. სირიამ და ირანმა ელჩებიც გამოიწვია დანიიდან, ხოლო ირანში მყოფი დანიის, ნორვეგიისა და ავსტრიის დიპლომატიური წარმომადგენლები საპროტესტო ნოტის გადასაცემად ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს.

ორი დღის წინ თეირანში დაახლოებით 400 დემონსტრანტმა დანიის საელჩოს შენობას ცეცხლგამჩენი ნარევით სავსე ბოთლები ესროლა. "მოლოტოვის კოქტეილები" დაუშინა. დემონსტრანტები წვავდნენ დანიის დროშებს და მთელი ხმით გაჰყვიროდნენ: "სიკვდილი დანიას!" შეიარაღებულ დემონსტრანტთა მოსაგერიებლად ირანის პოლიციას ცრემლსადენი გაზის გამოყენება მოუხდა. ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების ცნობებით, შეტაკებისას 10-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. გარდა ამისა, აქციის მონაწილეებმა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, ავსტრიის, დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაზე მიიტანეს იერიში.

მომხდართან დაკავშირებით დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი პერ სტიგ მიოლერი ირანის ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს, რადგან ასეთ პირობებში ოფიციალურ თეირანს იქ მყოფი დანიელების უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ შეუძლია.

რადიოინტერვიუში მიოლერმა ისიც აღნიშნა, რომ სავაჭრო ემბარგოსთან მიმართებაში, რომლის თანახმადაც დანიას არ შეუძლია ირანში საკუთარი პროდუქციის შეტანა, მის ხელისუფლებას ჯერჯერობით არაფრის შეცვლა შეუძლია. აკრძალვის პირობებს დაექვემდებარა ასევე ნებისმიერი ორმხრივი საქმიანი შეთანხმება.

დღესდღეობით ირანში დანიის ექსპორტის მოცულობა წელიწადში 280 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონლით განისაზღვრება, რაც საერთოდ დანიის ექსპორტის 0.3 პროცენტს შეადგენს.

სტატისტიკური ცნობებით კი, მუსლიმური ქვეყნების პროტესტმა დანიის წინააღმდეგ რამდენიმე სისხლიანი შემთხვევაც გამოიწვია.

ქაბულში დანიის საელჩოს წინ მოწყობილ სპაროტესტო აქციაზე დემონსტრატნები ავღანურ პოლიციასა და ნატო-ს ძალებს შეეჯახნენ. საპროტესტო აქციები გაიმართა ჯალალაბადსა და ჰერატშიც.

ფილიპინების სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქ კოტაბატოშიც მოაწყვეს საპროტესტო აქცია, სადაც დანიის მთავრობისაგან გაზეთის "იულანდს პოსტენ"-ის რედაქციის დასჯას მოითხოვდნენ.

ნორვეგიამ დამასკოში ნორვეგიის საელჩოს დაწვის საფასურად სირიისაგან კომპენსაციის გადახდა მოითხოვა .

ინდონეზიის სიდიდით მეორე ქალაქ სურაბაოში დემონსტრანტებმა ალყაში მოაქციეს დანიისა და აშშ-ს საელჩოები. საპროტესტო გამოსვლები მიმდინარეობდა ასევე დედაქალაქში - ჯაკარტაში.

ქაშმირის ინდურ ნაწილში კი დაიკეტა ყველა მაღაზია და ფირმების ოფისები, დემონსტრანტები კარიკატურების დაბეჭდვის გამო საერთო სახალხო გაფიცვის მოთხოვნით გამოდიან. *24 საათი*

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საზღვრები საქართველოში

ია ანთაძე

იმის მიუხედავად, რომ კანონი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" მეტად ლიბერალურ წესებს ამკვიდრებს, ყველაფერი ნებადართული, ცხადია, არ არის. კერძოდ, რა იზღუდება კანონის მიხედვით და როგორი პრაქტიკა ინერგება რეალობაში?

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით არა მხოლოდ ჟურნალისტები სარგებლობენ, არამედ, ნებისმიერი მოქალაქეც, რომელსაც სურს, საჯაროდ გამოთქვას ან გამოხატოს საკუთარი აზრი. მაგრამ არსებობს საზღვრები, რომელთა დარღვევა ისჯება. კერძოდ, კანონი კრძალავს: ცილისწამებას, უხამსობას, პირისპირ შეურაცხყოფას, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას, მუქარას, სახელმწიფო, კომერციული, პირადი ან პროფესიული საიდუმლოს გამხელას.

ბოლოხანს მომხდარი რამდენიმე ფაქტის განხილვა საინტერესოა სწორედ კანონის ამ მოთხოვნათა ჭრილში.

პირველი შემთხვევა: გაზეთში "ასავალ-დასავალი" გამოქვეყნდა სამი სტატია, რომელთა ავტორმა - დიტო ჩუბინიძემ - სიტყვა "ჩეჩმა", რაც აღმოსავლურ ტუალეტს ნიშნავს, საფუძვლად დაუდო ტერმინებს "ჩეჩმიაძინი" და "ჩეჩმიაძინელები". დაარღვია თუ არა დიტო ჩუბინიძემ კანონი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" უხამსობის კუთხით? კანონის განმარტებით, უხამსობა არის "განცხადება, რომელსაც არ აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს". ეჭვს არ იწვევს, რომ სომეხი ერის უპირველესი სალოცავის ტუალეტთან გაიგივება ეთიკის უხეში დარღვევაა; მაგრამ ჟურნალისტს მოუხდებოდა, სასამართლოსთვის აეხსნა, შეიძლებოდა თუ არა მისი უხამსი გამონათქვამების გამართლება მათი რაიმე პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულებით. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტდა სასამართლო, დაესაჯა თუ არა გაზეთი "ასავალ-დასავალი" უხამსობისთვის.

მეორე შემთხვევა: სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა "ქარვასლაში" შემდეგი შინაარსის პერფორმანსი მოაწყვეს: ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ხელში წმინდა სახარება ეჭირა, უნიტაზზე დაჯდა, წიგნიდან ფურცლები ამოხია და დაგემოვნებით მიირთვა. პერფორმანსი დაარბიეს. საკითხავია, ვინ დაარღვია კანონი? ახალგაზრდებმა ჩაიდინეს უხამსობა, თუ მაყურებელმა შელახა მათი გამოხატვის თავისუფლება? ამ შემთხვევაშიც სასამართლოს გასარკვევი იქნებოდა სტუდენტების ქცევის მოტივი: მათ ამ შინაარსის პერფორმანსით საზოგადოების და ეკლესიის შეურაცხყოფა ჰქონდათ ჩაფიქრებული თუ სხვა რამ, რაც თავსდება გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოში და რაც შეიძლება შეიცავდეს კულტურულ ან საგანმანათლებლო ღირებულებას. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტდა სასამართლო, ვინ უნდა დასჯილიყო - გამოფენის მომწყობი თუ მისი დამრბევი.

მესამე შემთხვევა: შალვა რამიშვილმა თავის საავტორო გადაცემაში ამგვარად მოიხსენია სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული: "ის, რაც კახა არდიამ თქვა, იდიოტობაა. კახა არდია იდიოტია". არდიას შეეძლო, ამ სიტყვების გამო რამიშვილისთვის სასამართლოში ეჩივლა "პირისპირ შეურაცხყოფის" მოტივით. თავის მხრივ, ჟურნალისტს მოუხდებოდა მტკიცება, რომ მან მხოლოდ საკუთარი აზრი გამოთქვა საჯარო პირის შესახებ, რის უფლებასაც კანონი აძლევდა. ამ შემთხვევაშიც სასამართლოს კომპეტენცია იქნებოდა, გადაეწყვიტა, შეილახა თუ არა სიტყვის თავისუფლების კანონიერი საზღვრები.

მეოთხე შემთხვევა: საზოგადოებას ახსოვს ფაქტი, როდესაც ირაკლი კაკაბაძის ინციდენტთან დაკავშირებით რამდენჯერმე დაიკითხა ამ შემთხვევის თვითმხილველი, ვინმე "ბენჯი", რომელიც მრავალსაათიანი დაკითხვის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდა. მის პალატაში პაციენტის დაუკითხავად და მისი სურვილის წინააღმდეგ შევიდა "რუსთავი 2"-ის კორესპონდენტი ნანუკა ჟორჟოლიანი. დაარღვია თუ არა ჟურნალისტმა კანონი? ამ შემთხვევაში სასამართლო განიხილავდა საკითხს, შეილახა თუ არა ჟურნლისტმა მოქალაქის პირადი ცხოვრების საიდუმლოება და უნდა დარჩენილიყო თუ არა საიდუმლოდ "ბენჯის" პერსონალური მონაცემები, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა.

ზემოთ ჩამოთვლილ ოთხივე ფაქტს თავის დროზე მკითხველის და მაყურებლის არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, თუმცა თითოეულ შემთხვევაში მხოლოდ სასამართლოს შეეძლო გადაეწყვიტა, გასცდა თუ არა სიტყვის ან გამოხატვის თავისუფლება კანონით დასაშვებ საზღვრებს. მაგრამ, არც ერთი შემთხვევა სასამართლომდე არ მისულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონით დაწესებული შეზღუდვები, რეალობაში ჯერჯერობით არ შემოწმებულა. შესაბამისად, არ შემოწმებულა მოსამართლეთა კორპუსის და თავად საზოგადოების დამოკიდებულება თავისუფალი სიტყვის საზღვრების მიმართ.

მასალა გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით.

მოკლედ

აფეთქება ავღანეთში

ავღანეთის ქალაქ ყანდაარში, პოლიციის განყოფილების მახლობლად განხორციელებული აფეთქების შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა და 9 დაიჭრა.

ზოგიერთი მონაცემებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა შენობის წინ მდგარი მოპედის კორპუსში იყო დამონტაჟებული. ტერაქტზე პასუხისმგებლობა თალიბებმა აიღეს.

შარშან ავღანეთში (ძირითადად მის სამხრეთში) ბრძოლების, აფეთქებებისა და შეიარაღებული თავდასხმების შედეგად, საერთო ჯამში, 1 400-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ეს ყველაზე სისხლიანი წელი იყო მას შემდეგ, რაც 2001 წლის ბოლოს საერთაშორისო კოალიციამ ქაბულში თალიბების ხელისუფლება დაამხო.

ავტოკატასტროფა იტალიაში

რომის შემოგარენში გუშინ ავტოკატასტროფა მოხდა. ავტობუსი, რომელშიც თურქი ტურისტები იმყოფებოდნენ, ხევში გადავარდა. 12 ადამიანი ადგილზე დაიღუპა და კიდევ 12 დაშავდა, მათ შორის ოთხი მძიმედ.

შემთხვევის ადგილას სასწრაფოდ იქნა მობილიზებული მაშველთა ჯგუფი. ავარია ვატიკანის მახლობლად, მონტე-მარიოს ბორცვიდან რომში მიმავალ გზაზე მოხდა. ზოგიერთი მონაცემებით, ავარიის მიზეზი მოყინული გზა გახდა, ასევე სახელდება ავტობუსის ტექნიკური გაუმართაობა. არ არის გამორიცხული, რომ თურქმა მძღოლმა სიბნელეში უცნობ გზაზე მოსახვევი ვერ შენიშნა. შედეგად ავტობუსმა ღობურა გაანგრია და ხევში გადაიჩეხა. თავად მძღოლი ცოცხალი გადარჩა.

მოკლედ

დააკავეს ყალბი ფულის გამსაღებლები

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ ყალბი ფულის გამსაღებელთა ხუთკაციანი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა. ხუთივე დაკავებულს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლით წაუყენეს, რაც "ყალბი ფულის დამზადება-გასაღებას" გულისხმობს და 3-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციის ინფორმაციით, გამოძიებით დადასტურდა, რომ ჯგუფის ორგანიზატორი ზურაბ ღვინიაშვილი იყო, რომელსაც სხვა დანაშაულისთვის 16 წელი აქვს მისჯილი, თუმცა პროცესებს ქსნის კოლონიიდან მობილური ტელეფონის საშუალებით მართავდა. როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ლევან მხეიძე აცხადებს, ღვინიაშვილმა ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომელიც დიდი ოდენობით ყალბ კუპიურებს ჯერჯერობით დაუდგენელი პირებისგან ყიდულობდა, შემდეგ კი მათ რეალიზაციას ახდენდა. გამოძიების ინფორმაციით, ღვინიაშვილის მითითებით, მოქალაქე ლეილა სარქისოვამ მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე სკვერში 17 200 ყალბი დოლარის კუპიურა შეიძინა.

"ამ თანხიდან ნაწილს, ეტაპობრივად, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში სარქისოვთან ერთად ინახავდნენ და ასაღებდნენ მაკა ლაფაჩი, ნანა ბოჭორიძე და დავით გოგოლაშვილი. თანხის ნაწილი კი - 8 ათას დოლარზე მეტი, ბრალდებულთა ბინებისა და ავტომანქანების ჩხრეკისას ამოვიღეთ", - აცხადებს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი.

გამოძიების ინფორმაციით, მიღებული შემოსავლით ლეილა სარქისოვა ყოფილ სასულიერო პირთან დავით გოგოლაშვილთან ერთად, სავარაუდოდ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დიდი ოდენობით ნარკოტიკულ ნივთიერებებს იძენდა და სხვადასხვა გზით ისევ ქსნის კოლონიაში გზავნიდა.

ჯერჯერობით არ არის დადგენილი, ღვინიაშვილი ნარკოტიკულ ნივთიერებებს კოლონიაში ყიდიდა, თუ თავად მოიხმარდა. **24 საათი**

აფხაზეთის საზღვარზე ორი რუსი ოფიცერი დააკავეს

ორი რუსი მშვიდობისმყოფელი დააკავეს ქართველმა ძალოვანებმა ორშაბათს, გვიან საღამოს ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურთან.

დაკავებული ცისფერჩაფხუტიანები აცხადებენ, რომ სამშვიდობო ძალების საგუშაგოებს ამოწმებდნენ და შემთხვევით ასცდნენ გზას. ქართველი სამართალდამცველების ინფორმაციით კი, სატვირთო მანქანით მოძრავმა სამხედროებმა აღნიშნულ გზაზე რამდენჯერმე გაიარეს. დაკავებისას მათ არანაირი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ აღმოაჩნდათ. ქართველ ძალოვანთა ვარუდით, დაკავებულები - არა მშვიდობისმყოფელები, არამედ დაზვერვის სამსახურის თანამშრომლები არიან და ქართული მხარის პოზიციებს ზვერავდნენ.

"რუსი მშვიდობისმყოფელები არ დაემორჩილნენ ქართველი სამართალდამცავების მოთხოვნას და უხეში ფორმით უარი თქვეს თავიანთი პიროვნების დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენაზე, რის შემდეგაც ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება მათი დაკავების შესახებ. ორი რუსი ჯარისკაცი არ გავატარეთ რუსეთის სამშვიდობო ძალების პოსტის მიმართულებით. გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ ის მარშრუტი, რომელსაც რუსი ოფიცრები ასახელებდნენ, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა", - აცხადებენ სამართალდამცველები.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქართული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების მეშვეობით სამართალდამცველი სოხუმში დაუკავშირდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხედრო შტაბს. ორსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ გაირკვა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების ოფიცრები მართლაც ასრულებდნენ სამშვიდობო ძალების შტაბის დავალებას. დაკითხვის შემდეგ დაკავებული რუსი ოფიცრები ქართველმა სამართალდამცველებმა აფხაზეთში სამშვიდობო ძალების სარდლობას გადასცეს. **24 საათი**

მარტოხელა ქალის ნაწამები ცხედარი მეზობლებმა აღმოაჩინეს

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათში 65 წლის მარტოხელა ქალი მერი შამათავა დაუდგენელ ვითარებაში მოკლეს.

წინასწარი ინფორმაციით, იგი საკუთარ საცხოვრებელ სახლში მარტო იმყოფებოდა. ჯერჯერობით დაუდგენელ პირთა ჯგუფი მასთან სახლში შეიჭრა. სავარაუდოდ, მათ სახლში საძინებელი ოთახის ფანჯრიდან შეაღწიეს.

თავდასხმა გამთენიისას 4-დან 6 საათამდე მოხდა. მეზობლებმა მერი შამათავას ნაწამები ცხედარი დილით იპოვეს. როგორც მეზობლები აცხადებენ, მერი შამათავას შემოხეული ჰქონდა ტანსაცმელი, ტანზე კი ძალადობის ნიშნები ემჩნეოდა. ერთ-ერთი ვერსიით, წამების დროს თავდამსხმელებმა იგი გააუპატიურეს.

მერი შამათავას ცხედარს ექსპერტიზა უტარდება. ადგილობრივი სამართალდამცავები ჯერჯერობით ვერ ასახელებენ მკვლელობის მოტივს. **ინტერპრესნიუსი**

კობა ბექაურს სასამართლოში უჩივლეს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრს კობა ბექაურს ღირსების შელახვისათვის სასამართლოში უჩივლეს. დეპუტატის წინააღმდეგ სარჩელი საბაჟო ტერმინალ "ლილო 1"-ის სარეჟიმო სამსახურის უფროსმა ლეილა დაუშვილმა შეიტანა.

საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატთა ბიზნესინტერესების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წინა სხდომაზე კობა ბექაურმა განაცხადა, რომ ლეილა დაუშვილი სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის დაპატიმრებული იყო. თავად ლეილა დაუშვილის თქმით, ბექაურმა ამ განცხადებით მას შეურაცხყოფა მიაყენა, რადგან მას სამართალდამცავებთან არასოდეს ჰქონია რაიმე შეხება. დაუშვილმა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეიტანა. ის დეპუტატისაგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვს. **მედიანიუსი**

გამოძიება ბათუმის ყოფილი მერების პასუხისმგებლობის საკითხზე მუშაობს

ბათუმის მერია ასლან აბაშიძის დროს უკანონოდ გასხვისებული ობიექტების დაბრუნებას აპირებს.

ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მურმან ბერიძემ სპეციალური ბრიფინგი გამართა და გასხვისებული ფართებიდან 16 ობიექტის ნუსხა გამოაქვეყნა, რომელიც 1992-2000 წლებში ადგილობრივმა თვითმმართველობამ უკანონოდ გაასხვისა. ეს ობიექტები სასამართლომ უკვე დააყადაღა და მას კონტროლის პალატა სწავლობს. ჩამოთვლილ ობიექტებს შორის არის პრესტიჟული რესტორანი "ედემი", რომელიც რუსეთის პრეზიდენტების მკურნალ ექიმს მირონოვს და მის მეუღლეს ჯულია ხოფერიას ეკუთვნის. არ არის გამორიცხული, რომ გამოძიება იმ მერების პასუხისმგებლობის საკითხსაც დააყენებს, რომლებიც ქალაქის მერიას 1992 წლიდან მართავდნენ. მათ შორის არიან - ასლან სმირბა, ცნობილი ბიზნესმენი თენგიზ ბაკურიძე, ასლან აბაშიძის დის მეუღლე თემურ კომახიძე და გიორგი აბაშიძე. **ინტერპრესნიუსი**

ამოღებულია დიდი ოდენობის ყალბი აქციზური მარკები

ფინანსური პოლიციის აჭარის განყოფილებამ ყალბი აქციზური მარკები ამოიღო. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, მარკები თურქეთის მოქალაქე თურჯაი ბაირამმა გასული წლის 23 დეკემბერს, სარფის საბაჟოზე "ნუგო ტურიზმის" კუთვნილი ტრაილერით შემოიტანა. აქციზური მარკები თურქეთის ერთ-ერთ სტამბაში დამზადებული და იგი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით არის შესრულებული. 50 ათასი ცალი აქციზური მარკა არყისთვის არის გათვალისწინებული. ფინანსური პოლიციის მტკიცებით, ყალბი აქციზური მარკები 50 ათასი ლარის ღირებულებისაა. პოლიციის ვარაუდით, ყალბი აქციზური მარკების დამკვეთი საქართველოშია და ახლა ამ პიროვნების ვინაობის დასადგენად ოპერატიული საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს. აღნიშნული დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 პუნქტით ისჯება, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ყალბი აქციზური მარკების დამზადება- გამოყენება-რეალიზაციას გულისხმობს.

კანონის დამრღვევი 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. სავარაუდოდ, ფინანსური პოლიცია ვინმე დუმბაძეს ეძებს, რომელსაც ე.წ "ნუგო ტურიზმის" კუთვნილი ტრაილერით შემოტანილი ტვირთი ეკუთვნის. იგი ამ დრომდე მიმალულია. **ინტერპრესნიუსი**

ალექსი გოცირიძისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის პროცედურა დღეს დასრულდება

"საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" ყოფილი პრეზიდენტის ალექსი გოცირიძისა და მისი ახლო ნათესავებისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის პროცედურას იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტი ჯერ კიდევ განაგრძობს.

სააღსრულებლო პოლიციამ გოცირიძეს წავკისის აგარაკიც ჩამოართვა.

გუშინ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა გარდაბნის რაიონის სოფელ წავკისში მდებარე გოცირიძის აგარაკი და იქ არსებულ სხვა უძრავი ქონება ფინანსთა სამინისტროს საფინანსო სააგენტოს გადასცეს. სოფელ წავკისში მდებარე აგარაკის საბაზრო ღირებულება, დაახლოებით, 250 ათას ლარს შეადგენს. სააღსრულებო პოლიციას წავკისში მდებარე აგარაკის რკინის კარის გასაღებად კვლავ ელექტროშემდღეებლის გამოყენება დასჭირდა.

ალექსი გოცირიძეს აღმასრულებლებმა გასულ კვირას უკვე ჩამოართვეს ვაზისუბნისა და მოსაშვილის ქუჩებზე მდებარე საცხოვრებელი ბინები. სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა ამ ბინებში არსებული ავეჯი, ასევე - ავტოფარეხი და სარდაფიც კი. დარჩენილი ქონების ნაწილი, რომელიც სააღსრულებო ფურცელში არ არის მოხსენიებული, აღმასრულებლებმა აღწერეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ 2004 წლის 20 დეკემბერს დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის სარჩელი და ყოფილი თანამდებობის პირის ალექსი გოცირიძისა და მისი ოჯახის წევრთა საკუთრებაში არსებული ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუსაბუთებლად მიიჩნია. სასამართლომ სადავო ქონება სახელმწიფოს მიაკუთვნა, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება თბილისის სააღსრულებო ბიუროს დაავალა.

გოცირიძის ქონების აღწერისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის ღონისძიებას იუსტიციის სამინისტროსა და სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლები, გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები და ფინანსთა სამინისტროს საფინანსო სააგენტოს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

გენერალური პროკურატურის იურიდიული სამმართველოს უფროსის ვლადიმერ ხუჭუას განცხადებით, წავკისში მდებარე აგარაკი და ავეჯი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად გადაეცემა. პროკურორის განმარტებით, როდესაც ამა თუ იმ თანამდებობის პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, კანონით, პროკურატურას ენიჭება უფლებამოსილება მისი კუთვნილი ქონების დასაბუთებულობის საკითხზე იმსჯელოს.

სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ ელისაბედაშვილის განცხადებით, გოცირიძის კუთვნილი ქონება ფინანსთა სამინისტროს საფინანსო სააგენტოს გადაეცემა. მისივე თქმით, უახლოეს დღეებში სახელმწიფოს კუთვნილებაში გადავა საგურამოში მშენებარე აგარაკიც. საერთო ჯამში, სახელმწიფო, გოცირიძის დაუსაბუთებელი ქონების სახით, 1 200 000 ლარის ღირებულების ქონებას მიიღებს.

ალექსანდრე გოცირიძე თანამდებობის ბოროტად გამოყენებაშია ეჭვმიტანილი და იგი 2004 წლიდან იძებნება. სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახელმწიფოს უკვე გადასცეს სასამართლოს მიერ დაუსაბუთებელ ქონებად მიჩნეული გოცირიძის ოჯახის წევრებზე გაფორმებული საცხოვრებელი სახლები.

ალექსი გოცირიძის დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის პროცედურა დღეს დასრულდება მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში მდებარე მშენებარე აგარაკის ოფიციალურად ჩამორთმევით.

საჯარო აუქციონზე ალექსი გოცირიძის დაუსაბუთებელი ქონების რეალიზაციიდან შემოსული თანხით ის დავალიანება დაიფარება, რაც გოცირიძეს სასამართლომ დააკისრა.

24 საათი

"ჩემი კუთვნილი მობილური რომელიღაც ოპერმუშაკს შემთხვევით თან გაჰყვა", - აცხადებს შალვა რამიშვილი

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

როგორც მოწმემ განუცხადა სასამართლოს, ბექაურზე გასესხებული თანხა – 30 ათასი დოლარი მან და მისი ოჯახის წევრებმა წლების განმავლობაში მოაგროვეს. **"ეს არ იყო ბანკიდან გამოტანილი თანხა",** - ირწმუნებოდა გუშინ მოწმე ბაიდოშვილი. მისივე ჩვენების თანახმად, ნასესხები ფული ბექაურს მისთვის ჯერჯერობით არ დაუბრუნებია.

"პარლამენტარი ნასესხები ფულის დაბრუნებას მხოლოდ მას შემდეგ აპირებს, რაც რამიშვილი-კოხრეიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დასრულდება," - განაცხადა ზურაბ ბაიდოშვილმა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე სტუდია "რეპორტიორის" ჟურნალისტების - ვახტანგ კომახიძეს, ბელა ზაქაიძის და "რეპორტიორის" დამფუძნებლის ლიკა ბასილაიას დაკითხვა იგეგმებოდა. მოსამართლე ნინო სანდოძემ, მოწმის სახით, სტუდია "რეპორტიორის" ჟურნალისტების გამოძახების გადაწყვეტილება გასულ სასამართლო პროცესზე მიიღო. იმ ჟურნალისტების დაკითხვა, რომლებმაც საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" კობა ბექაურის ინტერესების შესახებ ფილმი მოამზადეს, დაცვის მხარემ მოითხოვა. ბრალდების მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად, მოსამართლემ ეს შუამდგომლობა მაინც დააკმაყოფილა.

24 საათი

„მეამბოხე მოსამართლეების„ სარჩელი სასამართლომ არ მიიღო

თბილისის საქალაქო სასამართლომ ე.წ. "მეამბოხე მოსამართლეების" - ნინო გვენეტაძის, მერაბ ტურავას და დავით სულაქველიძის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრის პარლამენტარ ნინო კალანდაძის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი განსახილველად არ მიიღო. მოსარჩელე მოსამართლეებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების გასაჩივრება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში შეუძლიათ.

პროცესის დასრულების შემდგომ ერთ-ერთმა მოსარჩელემ, ყოფილმა მოსამართლემ, მერაბ ტურავამ განაცხადა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ **"ადამიანებს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარი ეთქვათ"**.

ე.წ. მეამბოხე მოსამართლეები პარლამენტარ ნინო კალანდაძის წინააღმდეგ სხვა სარჩელს შეიტანენ, რომელიც ამჯერად მისი დიპლომის კანონიერების საკითხის დადგენას შეეხება.

შეგახსენებთ, რომ ყოფილი მოსამართლეები აქამდე 2005 წლის 22 მარტის მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის განკარგულებას ასაჩივრებდნენ, რომლის საფუძველზეც, პარლამენტარი ნინო კალანდაძე იუსტიციის საბჭოს წევრად აირჩიეს. მათი განმარტებით, სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, იურისტი ვერ დაინიშნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად, თუ მას არ გააჩნია იურისტად მუშაობის 5 წლის გამოცდილება, რაც, მათი განცხადებით, კონკრეტულ შემთხვევაში კანონდარღვევად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან, კანონმდებლობა ადამიანს იურისტად მუშაობის ხუთწლიანი სტაჟი არ აქვს.

"ნინო კალანდაძის სპეციალობით მუშაობის სტაჟი კი მხოლოდ ორ წელსა და ექვს თვეს შეადგენს. ამდენად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მისი ყოფნა უკანონოა. უკანონოა ყველა ის გადაწყვეტილებაც, რომელიც საბჭოში მისი მონაწილეობით არის მიღებული", - აცხადებენ ყოფილი მოსამართლეები.

ყოფილი მოსამართლის ნინო გვენეტაძის ინფორმაციით, საქალაქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი მათთვის ჯერჯერობით უცნობია, თუმცა მათ გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება აქვთ, რასაც აუცილებლად გამოიყენებენ. მისივე თქმით, საქალაქო სასამართლოში გუშინვე კალანდაძის საქმესთან დაკავშირებით მეორე სარჩელიც შეიტანეს. ამჯერად, მოსამართლეები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ნინო კალანდაძის სახელზე გაცემული იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის კანონიერების საკითხის გარკვევასაც ითხოვენ. ყოფილი მოსამართლეები აცხადებენ, რომ ნინო კალანდაძის ბიოგრაფია გაყალბებულია.

ნინო გვენეტაძის განმარტებით, იუსტიციის საბჭოს წევრს, დეპუტატ ნინო კალანდაძეს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების დიპლომი ისე აქვს მიღებული, რომ სასწავლო კურსი საერთოდ არ გაუვლია.

"ამ ფაქტს ოპონენტები იმ გარემოებით ხსნიან, რომ ამ პერიოდში კალანდაძე გერმანიაში სწავლობდა და შემდეგ გადმოვიდა თბილისის უნივერსიტეტში. თუმცა, არ არსებობს არც გერმანიაში სწავლის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი ან დიპლომი", - აცხადებს მოსამართლე.

თავად ნინო კალანდაძე ყოფილ მოსამართლეთა ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს და აცხადებს, რომ მოსამართლეებს მისი იურისტად მუშაობის სტაჟის შესახებ სრული ინფორმაცია არ გააჩნიათ.

შეგახსენებთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2005 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით, პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო, თანამდებობიდან გათავისუფლდა უზენაესი სასამართლოს 3 მოსამართლე - მერაბ ტურავა, ნინო გვენეტაძე, მურმან ისაევი, ხოლო ამავე სასამართლოს კიდევ ერთ მოსამართლეს დავით სულაქველიძეს შენიშვნა გამოეცხადა. ე.წ. მეამბოხე მოსამართლეებმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 25 დეკემბრის გადაწყვეტილება ამავე უწყებაში გაასაჩივრეს.

24 საათი

სსიპ-შსს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი აცხადებს აუქციონს ხანგრძლივ შენახვაზე მყოფ ვადაგასულ შემდეგ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის მიზნით:

საღებავი სხვადასხვა - 7,8 ტონა, კალცინირებული სოდა - 35,0 ტონა, საწყისი ფასი - 5058 ლარი. ქარსი მუსკოვიტი - 18,9 ტონა, ქარსი ფლოგოვიტი - 49,2 ტონა, შუშაქსოვილი - 20000 მეტრი, ყუთი - 3804 ცალი, საწყისი ფასი - 16655 ლარი. ვიწროლიანდაგიანი რელსი და სხვა ნაკეთობა - 49,020 ტონა, პროფილი და სხვადასხვა სახის ნაკეთობა - 839,0 ტონა, სხვადასხვა სახის მილები - 81,5 ტონა, ფოლადის ბაგირი - 1,415 ტონა, საწყისი ფასი 107712 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს "ბე" მატერიალური ფასეულობის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 9 მარტს დღის 2 საათზე დეპარტამენტის შენობაში, მისამართი: თბილისი, აგლაძის 32, II სართული.

დამატებითი ცნობებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: 34-65-98, 35-67-23.

განაცხადები მიიღება 2006 წლის 8 მარტის დღის 4 საათამდე.

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge



გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და წაიღებს თბილისში განთავსებულ იურიდიულ ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქეროსასლები არ განიხილება).

ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ "24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ" ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ:

1. ᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ "ᲐᲠᲛᲘᲡᲪᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ" (ᲪᲔᲚᲝᲜᲘ);
2. ᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ "ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ";
3. ᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ "ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲘ";
4. ᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ "ᲛᲔᲠᲪᲔᲓᲔᲡᲘ";
5. ᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ "ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲘ III";
6. ᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ "ᲙᲐᲠᲢᲣᲚᲘ";
7. ᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ "ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ III", (ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ "ᲓᲔᲓᲐᲚᲘ");
8. ᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ "ᲫᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ II";
9. ᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ "ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ";
10. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 45 "ᲡᲐᲛᲒᲔᲠᲘᲡᲘ" ᲨᲞᲡ-ᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ" ᲝᲤᲘᲡᲘ;
11. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ 77 ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲝᲤᲘᲡᲘ "ᲒᲐᲞᲘᲡ" ᲝᲤᲘᲡᲘ;

"24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ" ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ, ᲣᲤᲐᲡᲝ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲝᲡ ᲐᲮᲠᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲖᲔ: ᲝᲤᲘᲡᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ.77 ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲝᲤᲘᲡᲘ "ᲒᲐᲞᲘ".

აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი სოციალური პროგრამების ხარჯზე იზრდება

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კონგრესს 2007 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა, რომელიც სოციალური პროგრამების დაფინანსების შემცირების ხარჯზე, სამხედრო ხარჯების გაზრდას ითვალისწინებს.

პროექტის მიხედვით, ბიუჯეტის მოცულობა 2 ტრილიონ 770 მილიარდ დოლარს შეადგენს.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა გუშინ ჟურნალისტებს განუმარტა ის მიზეზები, რომლითაც პრეზიდენტი ბუში სამხედრო ხარჯების თითქმის 440 მილიარდ დოლარამდე გაზრდის დროს ხელმძღვანელობდა. მისი თქმით, პენტაგონის ბიუჯეტის გაზრდა "ბოლო წლებში თავდაცვის უწყების გაფართოებასთანაა დაკავშირებული". "ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყნისთვის პრიორიტეტად რჩება ეროვნული უსაფრთხოება, ანუ ამერიკის, ამერიკელი ხალხისა და მისი ინტერესების დაცვა," - თქვა რამსფელდმა.

ბიუჯეტის პროექტით, თავდაცვის სამინისტროს ხარჯები 6,9 პროცენტით, შიდა უსაფრთხოებისთვის საჭირო ასიგნებები კი 3,3 პროცენტით იზრდება. აშშ-ის საგარეო პოლიტიკური საქმიანობისთვის განსაზღვრული საბიუჯეტო თანხა 12,2 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე 2006 საფინანსო წელს.

თეთრმა სახლმა ასევე გამოაცხადა, რომ ერაყში და ავღანეთში საომარი ოპერაციებისთვის უახლოეს ხანებში კონგრესს დამატებით 120 მილიარდ დოლარს სთხოვს.

სამხედროთა დაფინანსების გაზრდის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძ-

პენტაგონის ბიუჯეტის გაზრდა ბოლო წლებში თავდაცვის უწყების გაფართოებასთანაა დაკავშირებული.

ლოა, ის იყოს, რომ ბუშის ადმინისტრაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე 300 სამხედრო ბაზის დახურვას აპირებს.

როგორც კონგრესში წარდგენილი სამხედრო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, სამხედრო ბაზების დახურვა ხორციელდება საზღვარგარეთ მყოფი ამერიკული ჯარების დისლოკაციის შეცვლის გეგმის მიხედვით. **"ამ ინიციატივით, ჩვენი სამხედრო ყოფნა ცივი ომისდროინდელი "ცხელი წერტილებიდან" ახალ, სტრატეგიული მნიშვნელობის ზონებში გადაინაცვლებს,"** – ნათქვამია დოკუმენტში.

ბუნებრივია, დაახლოებით 60-70 ათასი ამერიკელი სამხედროსა და მათი ოჯახების ასი ათასი წევრის დაბრუნება სამშობლოში დამატებითი ხარჯებს მოითხოვს. ისევე, როგორც დამატებითი დანახარჯებია საჭირო ახალი ბაზების შესაქმნელად.

ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტში შემცირებები შეეხება განათლებას, მართლმსაჯულებას, სატრანსპორტო სამსახურსა და რაც მთავარია, პენსიონერების და ხელმოკლე ამერიკელთა სამედიცინო მომსახურებას, რის წინააღმდეგაც დემოკრატი კონგრესმენები გამოდიან. გარდა ამისა, აშშ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და აღმოსავლეთ ევროპისათვის დახმარების ოდენობის შემცირებას გეგმავს.

კონგრესში ბიუჯეტის საკითხზე კენჭისყრა გაზაფხულზე უნდა ჩატარდეს. ახალი საფინანსო წელი აშშ-ში 1 ოქტომბერს იწყება.

24 საათი

დიდი ეპოქის დასასრული

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მსოფლიო ეკონომიკის გულში - უოლ-სტრიტზე მას ჯერ კიდევ 1954 წლიდან იცნობდნენ, სადაც მომდევნო ოცი წლის განმავლობაში, 1974 წლამდე ანუ საჯარო სამსახურში გადაბარგებამდე კერძო საკონსულტაციო "თაუნსენდ, გრინსპენ ენდ კომპანი" ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოთამაშეებს ბიზნესისა და, შესაბამისად, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო რჩევებით ამარაგებდა.

თუმცა, ფასიანი ქაღალდების ბაზრამდე მას სხვა - გაცილებით "კულტურული" მიდრეკილება ჰქონდა. ნიუ იორკში, ბრუკლინში დაბადებული გრინსპენი უკვე 5 წლის ასაკში განსაკუთრებულ მუსიკალურ შესაძლებლობებს ამჟღავნებდა და დიდ მუსიკალურ კარიერასაც უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა, ამავე ასაკში მისთვის არც რთული მათემატიკური გამოთვლები წარმოადგენდა სიძნელეს, რითაც დედა, რომელიც განქორწინების შემდეგ შვილს მარტო ზრდიდა, ხშირად ამაყობდა სტუმრების და ნათესავების წინაშე.

საბოლოოდ რისთვის მიეძღვნა ცხოვრება - ციფრებისთვის თუ ნოტებისთვის, ამაზე გრინსპენი დაახლოებით ოცი წლის ასაკამდე ფიქრობდა. თუმცა, ხანდახან კომპრომისულ გამოსავალსაც პოულობდა: წინა საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში თითქმის ერთდროულად დაამთავრა კოლეჯიც და მუსიკალურ სკოლაც (გამოსაშვები კლასის სასკოლო ალბომში მის სურათს ასეთი მინაწერი აქვს: "ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერია. დაგიკრავთ საქსოფონსა და კლარნეტზე") და ჯაზბენდში საქსოფონისტიც გახდა. როგორც ამბობენ, ურიგოდ არ უკრავდა, ერთი წელი ჰენრი ჯერომის ორკესტრთან ერთად მთელ ამერიკაში გასტროლირებდა და ტენორ-საქსოფონსა და კლარნეტზე უკრავდა. მომდევნო რამდენიმე წელიც, როცა უკვე აქტიურად აღარ მუსიკოსობდა და ჯერ ნიუ იორკის, შემდეგ კი კოლუმბიის უნივერსიტეტებში ეკონომიკის და კომერციის საფუძვლებს ეუფლებოდა, თავისუფალ დროს ორკესტრის ფინანსებს განაგებდა. თუმცა, ბოლოს მის გაორებულ სულში მუსიკოსს მაინც ბიზნესმენმა აჯობა და უოლ-სტრიტზე გადაბარგდა.

10 წელიწადში უკვე მილიონერიც გახდა და თითქოს ჯაზით გატაცებაც წარსულს ჩაბარდა. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით და ისიც - მხოლოდ უცხო თვალისთვის. სინამდვილეში ძველ ორკესტრანტ პარტნიორებთან კავშირი ერთი დღითაც არ გაუწყვეტია და, საბოლოო ანგარიშით, პოლიტიკაშიც ამის წყალობით მოხვდა: ყოფილმა თანამეორკესტრემ, მოგვიანებით პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციის მრჩეველთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ლეონარდ გარმენტმა 1966 წელს გრინსპენი საპრეზიდენტო მარათონის სამზადისში მყოფ რიჩარდ ნიქსონს წარუდგინა. ალღოიანმა ნიქსონმაც სწრაფად შეაფასა, ვისთან ჰქონდა საქმე და რესპუბლიკური პარტიის კვლევების დივიზიონი ჩააბარა.

ასე დაიწყო გრინსპენის პოლიტიკური კარიერა, რომელიც 1974 წელს, იმპიჩმენტამდე ერთი თვით ადრე პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციაში ეკონომიკური კონსულტანტების საბჭოს თავმჯდომარეობაში გადაიზარდა და შემდგომი პრეზიდენტის, ასევე რესპუბლიკელი ჯერალდ ფორდის ზეობისასაც შენარჩუნდა. წყვეტა მხოლოდ თეთრ სახლში დემოკრატი ჯეიმს კარტერის შესვლისას - 1977 წელს მოხდა. თუმცა, ეს წყვეტაც გრინსპენმა ისევ სათავისოდ გამოიყენა: ნიუ იორკის უნივერსიტეტში იმავე 1977 წელს დოქტორის ხარისხი დაიცვა სწორედ იმ სფეროში, რომელმაც საბოლოოდ ყველაზე მეტად გაუთქვა კიდეც სახელი - ფინანსური მექანიზმების როლი და პრაქტიკული გამოყენება საბაზრო ეკონომიკაში.

თუმცა, მარტო ეს არ ყოფილა ის, რაც გრინსპენმა სახელმწიფო სამსახურებში ყოფნის შუალედებში მოასწრო. კიდევ იყო კორპორატიული დირექტორობა მსოფლიოს უდიდეს ალუმინის მწარმოებელ "ალკოასა" თუ ბანკ "ჯეი პი მორგანში", სანავთობო "მობილში" თუ საკვების მწარმოებელ "ჯენერალ ფუდსში", საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორობა თუ "რენდ კორპორაციის" და ჰუვერის ინსტიტუტის მზრუნველთა საბჭოს წევრობა...

ხელისუფლებაში ტრიუმფალური დაბრუნება უკვე პრეზიდენტ რეიგანის დროს მოხდა. 1981 წელს რეიგანმა გრინსპენს სოციალური დაზღვევის სისტემის რეფორმირების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეობა ჩააბარა. 1987 წელს კი გრინსპენის ბიოგრაფიაში ყველაზე მაღალ საფეხურზე ყოფნის პერიოდის ათვლა დაიწყო - თანამდებობიდან მოულოდნელად გადამდგარი პოლ უოლკერის ადგილი სწორედ მან დაიკავა. 1987 წლის 11 აგვისტოს დაიწყო პერიოდი, რომელსაც დღეს უკვე ყველა "გრინსპენის ერას" უწოდებს. სწორედ ამ დღეს აშშ-ს ბანკთა ბანკის - ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე ალან გრინსპენი გახდა.

გახდა და პირველივე ცვლილება საკუთარ ბიზნესში შეიტანა - მრავალ სხვათა გადამრჩენელი "თაუნსენდ, გრინსპენ ენდ კომპანი" დახურა და მთლიანად სახელმწიფო სამსახურზე გადაერთო.

არასოდეს უთქვამს ტელეკამერების წინ ორიოდე ფრაზაზე მეტი. თუმცა, სწორედ ამ ორიოდე ფრაზას სულშეგუბებული ელოდა და უსმენდა არა მხოლოდ ამერიკის სახელმწიფო, არამედ მთელი მსოფლიო. არც პრესკონფერენციებს ატარებდა. ინტერვიუებს მხოლოდ მაშინ იძლეოდა, როცა დარწმუნდებოდა, რომ ყველა დიქტოფონი გამორთული იყო. ტელეკამერების წინ კი ისეთი ბუნდოვანი ფრაზებით მეტყველებდა, რომელთა ინტერპრეტირებაც, პრაქტიკულად, ყველანაირად შეიძლებოდა.

1995 წელს, ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის მეორე დღეს, ორი გაზეთი მიუტანეს. ერთის სათაური იუწყებოდა: "გრინსპენმა მიანიშნა, რომ ფედერალურმა რეზერვმა შეიძლება საპროცენტო განაკვეთები შეამციროს". მეორე ამტკიცებდა: "გრინსპენი ეჭვობს, რომ საპროცენტო განაკვეთების შემცირება შესაძლებელი იყოს". სწორედ მაშინ მოიფიქრა ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარემ ფრაზა, რომელიც მის სავიზიტო ბარათად და ყველა გამოსვლის უკანასკნელ წინადადებად იქცა: "თუ მოგეჩვენათ, რომ ძალიან მკაფიოდ ვისაუბრე, ეს ნიშნავს, რომ სწორედ ვერ გამიგეთ". თვით ამერიკის კონგრესშიც კი, რომელზეც დიდწილად იყო დამოკიდებული თავად გრინსპენის ბედიც და სადაც, ერთი შეხედვით, ყველაზე შესაფერისი არენაა მჭევრმეტყველებისათვის, გრინსპენი ტრადიციულად სიტყვაძუნწი იყო. ერთხელ ერთმა კონგრესმენმა შეკითხვა დაუსვა, რომელმაც სტენოგრამაში 123 ხაზი დაიკავა. პასუხი, არც მეტი, არც ნაკლები, სამად სამ ხაზში მოთავსდა.

გამოთქმული აზრების ბუნდოვანება ლამის მისი პირადი ცხოვრებისეული გეგმის განხორციელების მუხრუჭიც გახდა. როცა უკვე ჭარმაგმა, 71 წლის გრინსპენმა საყვარელ ქალთან 12-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მასზე დაქორწინება გადაწყვიტა, პირველ ჯერზე პოტენციურ მეუღლეს ხელი და გული ისეთი გაუგებარი ტექსტით შესთავაზა, რომ საბრალო ქალმა, "ენ-ბი-სი"-ზე მუშაობისა და ყველა ჯურის რესპონდენტთან ურთიერთობის დიდი გამოცდილების მიუხედავად, ვერაფერი გაიგო. საბედნიეროდ, მეორე მცდელობა უფრო წარმატებული გამოდგა, ჟურნალისტი ანდრეა მიტჩელი მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული ბანკირის მეუღლე გახდა და მხოლოდ იმის გახსენება არ უყვარს, რომ საკუთარ ქორწილში ბატონი გრინსპენი ძველ ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი გამოცხადდა.

დიდად ენაწყლიანი ფედერალური რეზერვის შეფი არც მის ხელქვეითებს ახსოვთ. "ის ჩვენთვის იგივეა, რაც ეგვიპტელებისთვის სფინქსი. რა აზრი მწიფდება მის თავში, არა მხოლოდ ჩვენ, ალბათ, თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმაც კი არ იცის," - ამბობს მისი ერთ-ერთი თანაშემწე.

მოკლედ, სიტყვაძუნწობა და რთულად გასაგები მეტყველება მისი სტილია. თუმცა, არც ის არის საიდუმლო, რომ ეს ხასიათი იდეალურად ეწყობა მისდამი დაქვემდებარებული უწყების სტილს. ფედერალური სარეზერვო სისტემა ხომ საკმაოდ ჩაკეტილი სტრუქტურაა მკაცრი იერარქიით. მისივე თანამშრომლების დახასიათებით, ეს ტიპური ორკესტრია, რომელსაც გამოცდილი და გამახვილებული სმენის მქონე დირიჟორი ხელმძღვანელობს.

ეს ეპითეტები შემთხვევით არ არის ნათქვამი გრინსპენის მისამართით. მან სწორედაც რომ შეასანიშნავად იცოდა, როდის უნდა მოემარჯვებინა ჯოხი და როგორ ემართა მრავალინსტრუმენტიანი ერთობა. ერთი შეხედვით ზღვარგადასული უენობაც სწორედ ამ ფუნქციის ნაწილია. გრინსპენმა შესანიშნავად იცის, რომ ნებისმიერი ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა, ზედმეტად არ შეაწუხოს თავისუფალი ბაზარი და მისი ეჭვიანი სუბიექტები საკუთარი აზრებით და გამონათქვამებით. "მე არ ვარ პოლიტიკოსი და, შესაბამისად, არ ვაპირებ, ყველა შემხვედრს მოვუყვე, რას ვფიქრობ ამა თუ იმ საკითხზე. თუმცა, შემიძლია საჭირო დროს და საჭირო ადგილას სპეციალისტებს ავუხსნა ჩემი პოზიცია. როგორც წესი, მას ისინიც კი ინტერესით ისმენენ, ვინც ფედერალური რეზერვის მუშაობას სკეპტიკურად უყურებს," - ასეთი იყო გრინსპენის ახსნა.

ამიტომაც ჩნდებოდა ძალიან იშვიათად ახალი ამბების გამოშვებებში. თუ უფრო დავაზუსტებთ, მხოლოდ ორ შემთხვევაში: როცა მკვეთრად იცვლებოდა დოლარის კურსი და როცა ხდებოდა კრიზისი.

კრიზისი კი მის ფედერალურ სარეზერვო სისტემაში მოსვლის ორი თვის თავზევე მოხდა. 1987 წლის 19 ოქტომბერი – "შავ ორშაბათად" წოდებული საბირჟო კრახი, როდესაც დოუ ჯონსის ინდექსი მთელი 508 პუნქტით დაეცა და ამერიკული კორპორაციების აქციები მეოთხედით გაუფასურდა, გრინსპენისთვის გედის სიმღერად შეიძლებოდა ქცეულიყო. მაგრამ ახალმა ცოცხმა გაძლო და ძველ ნაგავთან ბრძოლაში არც გადატყდა და არც გაცვდა: არ დაკარგა ფინანსური ბაზრების ნდობა დოლარისა და ფედერალური სარეზერვო სისტემის მიმართ, არც სახელმწიფო რეგულირების მომატების ცდუნებას და არ გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომელთაც ეკონომიკისთვის უფრო დიდ ზიანის მოტანა შეეძლო, ვიდრე თავად საფონდო კრიზისს. "1987 წლის კრახი გაცილებით ტრავმული აღმოჩნდა, ვიდრე ის შესაძლო სცენარები, რომელთაც განვიხილავდით. ამის მიუხედავად, მთელი ჩვენი ძალისხმევა მიიმართა საიმისოდ, რომ საგადამხდელო სისტემას შეუფერხებლად ემუშავა და ბაზრები ღია ტიპის დარჩენილიყო," - იტყვის მოგვიანებით თავად გრინსპენი და ამით როგორც თავისი, ასევე 70-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკის საქმიანი ფილოსოფიის ძირითად თეზას ჩამოაყალიბებს: ეკონომიკური კატაკლიზმები არავითარ შემთხვევაში არ ღირს იმად, რომ მათ თანამედროვე ამერიკის ეკონომიკის საფუძველი - თავისუფალი საფინანსო ბაზრები შეეწიროს. უმნიშვნელოვანესია მათი ინფრასტრუქტურის დაცვა და დინამიურობის შენარჩუნება, დანარჩენ პრობლემებს ეკონომიკა თავად გადალახავს.

წლებთან ერთად მისი ეს რწმენა მხოლოდ გამყარდა. უკანასკნელ წლებში ბევრი ბრალს სდებდა გრინსპენს იმაში, რომ მან ყურად არ იღო გაფრთხილებები და 90-იანი წლების ბოლოს საფონდო ბაზრის უსაფუძვლო "გაბერვა" დაუშვა, რაც შემდეგ კოტირებების დაცემად შემოტრიალდა. გრინსპენს არ უარუყვია, რომ ამ საქმეში მისი პასუხისმგებლობა ნამდვილად იკვეთება, მაგრამ არამც და არამც - დანაშაული. "ფედერალური სარეზერვო სისტემის ჩარევა (მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების გაზრდა კოტირებების ზრდის შესაფერხებლად) გრძელვადიან პერსპექტივაში გაცილებით მეტად ავნებდა ამერიკის ეკონომიკას, ვიდრე მოგვიანებით საფონდო ბაზრის გარკვეული სტაგნაცია. სჯობს ამ უკანასკნელის შედეგის ლიკვიდაციასთან გვქონდეს საქმე, ვიდრე საკუთარი ხელით მოვახრჩოთ ეკონომიკური ბუმი და ამით მივცეთ ეკონომიკას ის მცდარი სიგნალი, რომელიც მის განვითარებას წინასწარ და, თან, ხანგრძლივად დაამახინჯებს. ამერიკის ეკონომიკა საკმაოდ მოქნილია და მას არ გაუჭირდება კრიზისის გადალახვა," - ასეთი იყო გრინსპენის მოკლე და შეუვალი კომენტარი ყველა ბრალდებაზე. საერთოდაც, "კრიზისი" არ არის ის სიტყვა, რომელიც მისთვის საშიშ კატეგორიას წარმოადგენს. მეტიც: მისთვის, ეკონომიკის განვითარების ციკლური ბუნებიდან გამომდინარე, კრიზისი გარდაუვალი მოვლენაა, მაგრამ არა ტრაგედია, არამედ გამოწვევა, რომელზე ადეკვატური რეაგირებაც აჯანსაღებს ეკონომიკას და განვითარების ახალ საფეხურზე გადაჰყავს. სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას გრინსპენი თავის უკანასკნელ გამოსვლებში, რომლებიც ტრადიციულ მოხსენებებზე მეტად მემკვიდრეთათვის დატოვებულ ანდერძს ან მინდობილი სამწყსოსადმი მიმართულ შეგონებას უფრო ჰგავდა. მაგალითად, უძრავი ქონების ბაზარი. იქ დღეს მოლოდინები და შესაბამისი საბირჟო კოტირებები ისევეა გაბერილი, როგორც 90-იანი წლების ბოლოს მაღალი ტექნოლოგიების სექტორის კომპანიებსა და აქციებზე. ამიტომაც, გრინსპენის აზრით, კრიზისი აქაც გარდაუვალია, თუმცა მისი გაბუქება არც ამჯერად ღირს. ეს ამერიკის ეკონომიკას გააჯანსაღებს, აიძულებს ამერიკელებს, ნაკლები მოიხმარონ და მეტი დაზოგონ, რაც შეამცირებს მიმდინარე საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს და დოლარსაც შეეხიდება.

თუმცა, გრინსპენის გამოსვლებში ამერიკის ეკონომიკის მდგომარეობის მაკროეკონომიკურ შეფასებებზე უფრო საინტერესო ის მოსაზრებებია, რომლებიც მიუთითებს, როგორ მოქმედებს ეკონომიკაზე ადამიანური ბუნება. "ადამიანები ხელსაყრელ გარემოებათა დროებით ერთობლიობას ხშირად ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევენ და, აქედან გამომდინარე, ხანდახან ეკონომიკის და ბიზნესის შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებენ, რისთვისაც შემდეგ ისჯებიან ხოლმე. ისტორიაც ადასტურებს, რომ შედარებითი სტაბილურობის ხანგრძლივი პერიოდები ხშირად შობს არარეალისტურ მოლოდინებს და ეს ხდება მუდმივად," - გრინსპენის ეს მოსაზრება, შესაძლოა, ბანალურად ჟღერს, მაგრამ სამაგიეროდ ზუსტად ასახავს მის მსოფლმხედველობას.

მსოფლმხედველობას, რომელიც მხოლოდ უოლ-სტრიტზე და ნიუ იორკის უნივერსიტეტებში არ იჭედებოდა. მაგალითად, თავად "დოქტორი დოლარი" აღიარებს, რომ მის შეხედულებებზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა მწერალმა და სოციალურმა ფილოსოფოსმა ეინ რენდმა, რომელიც პირველმა მეუღლემ გააცნო. სწორედ რენდმა, როგორც თავად გრინსპენი ამბობს, "პირველმა დააფიქრა იმაზე, რომ კაპიტალიზმი არა მხოლოდ ეფექტური და პრაქტიკული, არამედ მორალური სისტემაც არის". ამავე ქალბატონისგან ესმოდა გრინსპენს ყველაზე ხშირად "გონიერი ეგოიზმის" შესახებაც, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკა გაცილებით უკეთ ფუნქციონირებს, თუ მოქალაქეები უპირველესად საკუთარი მიზნების მიღწევას ცდილობენ, საუბრები ვინმეს ან რაიმეს უანგარო სამსახურზე კი მხოლოდ სისულელის ჩმახვაა.

გრინსპენი საქმითაც ამ თეორიის ერთგული მიმდევარი აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ კანონმდებლობით ის ვალდებულია, ყოველწლიურად საჯარო გახადოს თავისი ფასიანი ქაღალდების პორტფელის შემადგენლობა, რათა არავის გაუწიწდეს ეჭვი, რომ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების დროს ის ინსაიდერული ინფორმაციით ბოროტად, პირადი გამორჩენის მიზნით სარგებლობდა. გრინსპენმა ეს პრობლემა იოლად მოაგვარა. გარკვეულ ეტაპზე ყველა სხვა აქციები გაყიდა და მონაგარი თანხით ამერიკის ხაზინის ობლიგაციები იყიდა. როცა ეს ინფორმაცია საჯარო გახდა, ფინანსური გურუს მაგალითს ბევრმა მიბაძა. შედეგად, სახაზინო ვალდებულებებს ფასი დაედო, რითაც ამ ქაღალდებით ყველა მოსარგებლემ, მათ შორის, ცხადია, ალან გრინსპენმაც, კარგად იხეირა. თან იხეირა ლეგალურად, ყველა წესების დაცვით, სახელმწიფო მოხელისთვის ოფიციალურად დაშვებული ბერკეტით.

დიახ, გრინსპენი სახელმწიფო მოხელეა. ადამიანი, რომელმაც ყველაზე წარმატებული წლები სახელმწიფო სამსახურში გაატარა და, ამის მიუხედავად, თავისუფალი ბაზრისა და მეწარმეობის ერთ-ერთ ყველაზე თავგამოდებულ მიმდევრად და ადვოკატად დარჩა. ზოგიერთი მისი უახლოესი თანამებრძოლი იმასაც კი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო სამსახური მისთვის მხოლოდ იარაღი იყო. იარაღი, რომლითაც მას კაპიტალიზმის ყველაზე დიდი და გარდაუვალი ბოროტებების - ბიუროკრატიისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, თავად სახელმწიფოს წინააღმდეგაც კი უნდა ებრძოლა.

მაგალითად, ის დღესაც ამერიკის ეკონომიკაში ბოლო ხანს მოძლიერებული პროტექციონისტული ელემენტების თანმიმდევრული კრიტიკოსია, რადგან დარწმუნებულია, რომ ეს გზა დასცემს ამერიკული კომპანიების კონკურენტუნარიანობას სწრაფად ცვალებად მსოფლიოში. იმავდროულად გრინსპენი საფუძველშივე შანთავს ნებისმიერ საუბარს და, მით უფრო მცდელობას, მოხდეს ინფლაციის წახალისება. ასე რომ, ლიბერალიზმის იდეებისადმი მისი ერთგულება არანაირად მოდის წინააღმდეგობაში მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან, რის გამოც "ფინანსურმა დირიჟორმა" მკვიდრად დაიმსახურა ამერიკის მთელი საფინანსო ინდუსტრიის აღიარება.

თუმცა, რატომ მხოლოდ ამერიკის? ან, მით უფრო, რატომ მხოლოდ საფინანსო? მის ნებისმიერ სიტყვას ხომ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ყველა საქმიანი ადამიანი ელის. რაც შეეხება პოლიტიკოსების აღიარებას, განა ბევრი ადამიანია თუნდაც იმავე ამერიკაში, რომელიც პრეზიდენტ ნიქსონის მმართველობიდან მოყოლებული სულ ზენიტშია? ან რამდენი სახელმწიფო მოხელე ყოფილა ისტორიაში, რომელსაც უფლებამოსილებას უწყვეტად ოთხი პრეზიდენტი უხანგრძლივებს?

პრეზიდენტ რეიგანის მიერ 1987 წელს პირველად განხორციელებული პროცედურა მისმა სამივე მემკვიდრემ გაიმეორა: ჯორჯ ბუშ-უფროსმა, ბილ ქლინთონმა და ჯორჯ ბუშ-უმცროსმა ალან გრინსპენს აშშ-ს ცენტრალური ბანკის მმართველის პოსტი უპირობოდ შეუნარჩუნა. დიახ, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ქვეყანაში მმართველი პარტიის შეცვლა ფედერალური სარეზერვო სისტემის პირველკაცის პოზიციას არ დასტყობია. ვერ ვიტყვით, რომ საქსოფონისტი გრინსპენის საქსოფონისტ ქლინთონთან ხილვამ რესპუბლიკელები აღაფრთოვანა. ბევრმა გრინსპენი უპრინციპობაშიც დაადანაშაულა. თუმცა, იქვე დააზუსტეს, რომ ეს უპრინციპობა მხოლოდ პოლიტიკას ეხება. რაც შეეხება ეკონომიკას, აქ გრინსპენი ტრადიციული ამერიკული (იგულისხმე, რესპუბლიკური) იდეალების სანიმუშო მიმდევარია.

ამიტომაც, მას იოლად ეპატია "პოლიტიკური უპრინციპობა". ქლინთონის მერე მოსულ უმცროს ბუშს არც უფიქრია მისი შეცვლა. ის კი არა, პრეზიდენტი მზად იყო, გრინსპენის უფლებამოსილება 2008 წლამდეც გავრცელებულიყო, მაგრამ...

გრინსპენი წავიდა. წავიდა ისე, რომ ვერავინ გაამტყუნებს: არ არის იოლი, 19 წლის განმავლობაში ხელთ გეპყრას მსოფლიო ეკონომიკის მართვის საკონტროლო პაკეტი. ზომავდე ყოველ სიტყვას, ნაბიჯს, ქცევას, ღიმილსაც კი იმის შიშით, რომ ვიღაც რაღაცას სწორად ვერ გაიგებს. გრინსპენი ხომ იმ კატეგორიიდანაა, ვისთვისაც ძალაუფლება არა იმდენად უფლებრივი პრივილეგია, რამდენადაც პასუხისმგებლობითი ტვირთია. თან ისეთი ტვირთი, რომელიც დღითი დღე მძიმდება და უნდა გაუმკლავდეს ბროკერების ჭირვეულობასაც, აზიურ კრიზისსაც, კონგრესის პრეტენზიებსაც, ტერორისტების შემოტევებსაც და კიდევ იმ უამრავ საფრთხეებსაც, რომელთა რიცხვიც ასევე დღითი დღე იზრდება. ეს ტვირთი უკვე, ცოტა არ იყოს, რთული სატარებელია ადამიანისთვის, რომელიც, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ორიოდე თვეში მე-80 წელიწადს მიითვლის.

არადა, საფონდო ბაზარი კვლავაც მას ითხოვს: ჟურნალ "ფორჩუნის" გამოკითხვამ ცხადყო, რომ მას კვლავაც ფედერალური რეზერვის საუკეთესო ხელმძღვანელად მიიჩნევენ. გამოკითხული 1000 ამერიკელი ტოპმენეჯერიდანაც 96 პროცენტი მისი უფლებამოსილების გახანგრძლივების მომხრეა. ეს არ შეიძლება მარტო იმით აიხსნას, რომ სწორედ გრინსპენის დროს იყო ყველაზე ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდა (1991-2002 წლებში); ან იმით, რომ მისი ხელდასმული პოლიტიკის შედეგად იქნა მიღწეული ინფლაციის 11-წლიანი მინიმუმი (წლიური 1,5 პროცენტი), ასევე ყველაზე დაბალი უმუშევრობა (4 პროცენტი) ოცწლიანი პერიოდის განმავლობაში; არც მხოლოდ იმით, რომ მმართველობის მთელი 19-წლიანი პერიოდის განმავლობაში გრინსპენი კორუფციაში არ გახვეულა, რაც ცენტრალური ბანკებისა თუ საფინანსო ბაზრის მსხვილი მოთამაშეებისთვის ნამდვილად არ არის უცხო ხილი...

მასზე გაუნელებელი მოთხოვნილების უპირველესი მიზეზი მისი პრინციპულობაა, რასაც პოლიტიკური არაანგაჟირებულობა კიდევ უფრო ამყარებს. მეორე და არანაკლები მიზეზია ის, რომ სწორედ მის დროს შეიქმნა ფედერალური რეზერვისა და საფინანსო ბაზრების ურთიერთობის ახალი ენა, პროგნოზირებად ქმედებებსა და გამოთვლილ ფორმულებზე დამყარებული საკომუნიკაციო საშუალება, რომელმაც ორი მხარე რუულად, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ დაახპარტნიორა. დაბოლოს, რაც ასევე უმნიშვნელოვანესია, სწორედ გრინსპენის დროს შეიცვალა თავად საფინანსო ბაზრები, მათი უმეტესობა უპრეცედენტოდ ღია, თავისუფალი და განვითარებული გახდა. ანუ წინა საუკუნის 60-70-იანი წლებისგან განსხვავებით, როცა გრინსპენის კალიბრის ფიგურისთვის სათანადო ველი არ არსებობდა, 80-90-იან წლებში ეს სივრცე შეიქმნა, ბაზარმა მოითხოვა და გრინსპენიც გაჩნდა.

ალბათ, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გრინსპენს ბევრი აკრიტიკებს. არა მარტო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამო. ბევრი მას უოლ-სტრიტის პროპაგანდისტული მანქანის მიერ უზომოდ გაბერილ ლეგენდად მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ გრინსპენის მედიური მასშტაბი ბევრად აღემატება როგორც მის რეალურ პიროვნულ მოცემულობას, ასევე ეკონომისტის თუ მმართველის კვალიფიკაციას. ცხადია, სიმართლის მარცვალი ამ მტკიცებაშიც იქნება, მაგრამ ეს არაფრით აკნინებს გრინსპენის, როგორც საკვანძო ფიგურის მნიშვნელობას საფინანსო ბაზრებისთვის. თუნდაც იმის გამო, რომ ის ბევრ მანამდე არარსებულ პრობლემას პირველი შეეჯახა, ყინულმჭრელის ფუნქციაც იტვირთა და, როგორც შედეგებმა ცხადყო, არცთუ წარუმატებლად.

ამიტომაც იქნება მისი მემკვიდრისა თუ მემკვიდრეებისათვის რთული იმავე სიმაღლეების დაძლევა. გრინსპენის ერთგვარი ისტორიული ანალოგი შეიძლება კენედი იყოს, რომელიც ამერიკის პირველი პრეზიდენტი იყო მასობრივი ტელევიზიის ეპოქაში. არც რეიგანი და არც ქლინთონი პოპულარობით მას არ ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ კენედი მაინც სულ სხვად დარჩა. ასევეა გრინსპენიც - მას, როგორც გლობალური საფინანსო ბაზრების ეპოქის ფედერალური სარეზერვო სისტემის პირველ ხელმძღვანელს ღირსეული შემცვლელი ვერასოდეს მოეძებნება.

ოლიმპიზმი

ტორინო საბრძოლო მზადყოფნაზე გადავიდა

გაზეთებში გამოქვეყნებულმა მუჰამედის კარიკატურებმა, რომლებმაც მუსულმანთა დიდი აღშფოთება გამოიწვია, ტორინოს ოლიმპიური თამაშების მასპინძლებს იმისკენ უბიძგა, რომ თამაშებს გაორმაგებულ საბრძოლო მზადყოფნაში შეხვდნენ. თამაშების დაწყებამდე სამი დღით ადრე იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთხელ გასცა განკარგულება: ყველა სპორტულ ობიექტზე, რომელიც შეიძლება იყოს ტერორისტული აქტების სამიზნე, გაძლიერდეს უსაფრთხოების კონტროლი.

ტორინოში სპორტსმენებზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა იქნება.

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ირწმუნება, რომ ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ასპარეზობათა უსაფრთხოებისთვის დიდი სამუშაო გასწიეს.

“იმის გამო, რომ ჩვენს წინაშე დამატებითი საფრთხის საშიშროება გაჩნდა, უფრო მობილიზებული გავხდით”, - განაცხადა ბერლუსკონიმ.

საგულისხმოა თავდაპირველი გეგმა, რომლის მიხედვითაც თითოეული ეროვნული ნაკრები საგანგებო დაცვის ქვეშ უნდა ყოფილიყო, ზოგიერთ შემთხვევაში კი განსაკუთრებულ უსაფრთხოების ზომებსაც მიიღებდნენ. იგულისხმება აშშ-ის და ისრაელის ნაკრებები, რომლებიც, ტრადიციულად, ტერორისტთა მთავარი სამიზნე არიან. მაგრამ ახლა, როდესაც მუჰამედის კარიკატურები გამოქვეყნდა, თამაშების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, გაძლიერებული დაცვა გამოუყონ დანიისა და ნორვეგიის ეროვნულ გუნდებსაც. თუმცა, როგორც Berliner Zeitung-ი აღნიშნავს, უსაფრთხოების ზომები, პირველ ყოვლისა, ეხება დანიის დელეგაციას.

საქმე ისაა, რომ დანიური გაზეთი “Jyllands Posten” პირველია, რომელმაც წინასწარმეტყველის კარიკატურები გამოაქვეყნა. ერთ-ერთ მათგანზე მუჰამედი გამოსახულია ბომბიანი ჩალმით.

რა თქმა უნდა, ნორვეგიის ოლიმპიურ დელეგაციასაც სჭირდება გაძლიერებული დაცვა, რადგან მათ დანიელთა მაგალითს მიბაძეს. ფრანგებმაც იგივე გააკეთეს.

იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ კოორდინაცია გაუწიონ იმ ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურებს, რომლებმაც, თავის მხრივ, ტორინოში საკუთარ დელეგაციათა უსაფრთხოებაზე უნდა იზრუნონ.

მოხალისეთა და პოლიციელთა დაცვის წრე შემოვლებულია არა მარტო ოლიმპიური სტადიონების ირგვლივ, არამედ დგას იმ სასტუმროთა მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლებშიც ოლიმპიური დელეგაციები განთავსდნენ.

მაგალითად, ოლიმპიურ რეგიონ პიემონტეში ამოქმედებულია იტალიის უსაფრთხოების სამსახურების 9 ათასი წარმომადგენელი. თითოეულ მაყურებელს თითოეულ სპორტულ არენაზე ელის 950 ლითონის დეტექტორი. ასობით ვიდეოკამერა აღბეჭდავს თითოეულ მაყურებელს და მსოფლიოს დამნაშავე ძებნილთა სახეებს შეადარებენ. მზადყოფნაშია 106 სამაშველო გუნდი.

აკრძალულია სტადიონების სიახლოვეს საჰერო მიმოსვლა, რათა თავიდან აიცილონ ჰაერიდან შესაძლო თვდასხმა. განსაკუთრებული ზედამხედველობაა დაწესებული იმ სასტუმროებზე, რომლებშიც განთავსებულნი არიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრები. როგორც რომის სამართალდამცავები იუწყებიან, ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას ასევე კონტროლზე იქნება აყვანილი იტალიის ჩრდილო მეგაპოლისები მილანი და გენუა.

ტორინოს ცენტრში არსებული “მედალ პლაზა”, ადგილი, სადაც საღამოობით გამარჯვებულებს დააჯილდოებენ, ასევე მკაცრად გაკონტროლდება. სამართალდამცავებმა წინდაწინ მოუწოდეს გულშემატკივრებს, ლითონის საგნებით ნუ მოხვალთ და მობილურებიც გამორთეთო.

ბევრად რთული იქნება ღია ცის ქვეშ განთავსებული სპორტული ობიექტების დაცვა, რადგან ასეთი სარბიელები მთიან რეგიონებშია. იმისთვის, რომ შეემოწმებინათ სესტრიერის (ეს კურორტი სამთომოთხილამურეებს უმასპინძლებს) ოლიმპიური სოფელი, ორგანიზატორებმა შაბათკვირას აამოქმედეს უსაფრთხოებაზე მზრუნველი დანაყოფები და პარაშუტისტები.

ის, რომ იტალიის მშვიდობისმყოფელთა მისია მრავალი თვის განმავლობაში იმყოფება ერაყში, რეალურ საფრთხეს ქმნის იმისთვის, რომ თავად მასპინძლებიც აღმოჩნდნენ ტერორისტთა სამიზნეში. სპორტსმენთა და მაყურებელთა დასაცავად ბერლუსკონის მთავრობამ 90 მილიონი ევრო გამოყო.

იტალიელი სამართალდამცავებისთვის მარტო ისლამური ფუნდამენტალისტები არ არიან თავის ტკივილის მიზეზი. პრობლემები მოსალოდნელია ანტიგლობალისტებისგანაც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ტორინოსა და ლიონს შორის გადებულ ჩქაროსნულ სარკინიგზო ხაზს. მათ მიერ მოწყობილი ერთ-ერთი საპროტესტო აქციის გამო ოლიმპიადის ორგანიზატორები იძულებული გახდნენ ოლიმპიური ჩირაღდნისთვის მარშრუტი შეეცვალათ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესწორება 2006 წლის 7 თებერვალს გაზეთ “24 საათში" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადების ტექსტში ავტომობილების შესყიდვაზე.

შესასყიდი საქონელი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს, “ა" პუნქტის (მაღალი გამავლობის ავტომობილი - ახალი) მე-2 ქვეპუნქტი და “გ" პუნქტის (მაღალი გამავლობის ავტომობილი - მეორადი) მე-5 ქვეპუნქტი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

- საწვავი - დიზელი ან ბენზინი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ღია ტენდერის შესახებ განცხადებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

გაზეთ "24 საათის" 2006 წლის 19 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული იყო თსსუ-ის განცხადებაღია ტენდერის საშუალებით უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიის დაცვის მომსახურების შესყიდვის შესახებ. სატენდერო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია გამოქვეყნებული განცხადების ტექსტში შეიტანოს გარკვეული შესწორებები შემდეგი სახით:

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 13 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 33, III სართული, ოთახი 310. ტელ. 31 14 98, 39 29 91. სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: თსსუ, თი ბი სი ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი, ბანკის კოდი 220101850, ანგარიშსწორების ანგარიში 609229. მიუთითეთ გადასახადის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, დახურულ კონვერტში 15 თებერვლიდან 15 თებერვლის 15 საათამდე. დამატებითი ინფორმაციის ან სხვა დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სატენდერო კომისიაში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

სატენდერო კომისია

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მიერ 2006 წლის 25 იანვარს გაზეთ "24 საათში" (№15) კომპიუტერების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის განცხადების ტექსტში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის დამატება

I, ცვლილებები ტექნიკური პირობების მოთხოვნებში

1. I, II, III, IV ლოტი

Intel/Celeron ან ანალოგიური

2. I, IV ლოტი

VGA

SVGA 128 BM (არაინტეგრირებული)

3. "შენიშვნა: ტენდერის პირველ და მე-2 ლოტებზე დასაშვებია მხოლოდ პირველი ეშელონის მწარმოებლების ("ბრენდის") წარმოდგენა". კომპლექტი (კლავიატურა, მაუსი, პროცესორი, მონიტორი) უნდა იყოს ერთი და იმავე მწარმოებლის.

4. მოითხოვება წარმოდგენილი მახასიათებლების ან უკეთესი.

II. საკვალიფიკაციო მონაცემების ცნობებსა და ინფორმაციას დაემატა შემდეგი მოთხოვნები:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და წესდების ასლი.

2. ინფორმაცია ხელმძღვანელებისა და დამფუძნებლების შესახებ.

ცვლილება

გაზეთ "24 საათის" 1 თებერვლის N1173-ში" შპს "საქართველოს ფოსტის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში შეტანილია ცვლილებები: ნაცვლად გამოქვეყნებული მონაცემისა საწვავის - ბენზინი - პრემიუმი 96 ოქტანობა - 135 400 ლიტრი, უნდა იყოს - პრემიუმი 96 ოქტანობა 22 000 ლიტრი და რეგულარი 93 ოქტანობა 113 400 ლიტრი.

ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი: საბანკო გარანტიის სახით, სატენდერო წინადადებების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

სატენდერო კომისია

ფეხბურთი

რას ეტყვის ჰაინც ტოპმიოლერი ძმას

საქართველო - აზერბაიჯანი 1:1

ლაშა ქობერიძე

გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები აზერბაიჯანელ თანატოლებს ამხანაგურად გაეჯიბრა. მატჩი ავლაბარში მდებარე “ოლიმპის” სტადიონზე გაიმართა. მოგეხსენებათ, ეროვნულ ნაკრებში მუშაობა დაიწყო ცნობილმა გერმანელმა სპეციალისტმა კლაუს ტოპმიოლერმა. პრესკონფერენციაზე, რომელზეც იგი მთავარი მწვრთნელის რანგში ოფიციალურად წარუდგინეს მედიას, ითქვა, რომ აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩებს სასელექციო დატვირთვა ექნებოდა. ტოპმიოლერი ამ თამაშებზე (ეს მეტოქეები ხვალაც შეხვდებიან ერთმანეთს) ეროვნული გუნდის უახლოესი რეზერვის საქმეში ნახვას აპირებდა. გერმანელი მწვრთნელი ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან ერთად პარიზში იმყოფება, სადაც ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ქვეჯგუფის გუნდების წარმომადგენლები არიან შეკრებილნი. ამ შეხვედრაზე უნდა დადგინდეს ქვეჯგუფის კალენდარი. ეს კი იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ტოპმიოლერმა ამ პროცესში მონაწილეობა თავად ისურვა. თუმცა, მატჩს ესწრებოდა მისი ძმა და თანაშემწე ჰაინც ტოპმიოლერი.

სამწუხაროდ, გუშინდელ მატჩზე, უფრო ზუსტად, ჩვენს ახალგაზრდულზე იგი ძმას კარგს ვერაფერს ეტყვის, რადგან საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა მეტად უსახური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რიგი მიზეზების გამო ახალგაზრდულის მთავარმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა ძირითადი შემადგენლობა ვერ შეკრიბა. დასტურად იმის თქმაც კმარა, რომ 21-წლამდელთა ერთერთი საბაზო გუნდი თბილისის “დინამო” ამჟამად კვიპროსზე მართავს საწვრთნელ შეკრებას და ჟორჟიკაშვილმა ნაკრებში დინამოელები ვერ გამოიძახა.

მართალია, მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ მეტად უხეში გამოდგა. არბიტრს ფეხბურთელებისთვის 4 ყვითელი და 1 წითელი ბარათის ჩვენება მოუხდა. თამაშის პირველი ნახევარი უინტერესო გამოდგა. ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ ეს მატერიალურში ვერ გადაზარდეს. ყველაზე რეალური მომენტი მე-19 წუთზე გელაშვილს ჰქონდა, როდესაც ბენაშვილის ბრწყინვალე გადაცემა მიიღო და გატანაც მართებდა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა და ბურთი მიზანს ააცილა. სამაგიეროდ ჩვენი გუნდის კარში აზერბაიჯანელთა პირველივე დარტყმა გოლით დასრულდა: ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა სტუმარი ფეხბურთელი სჯარიმის მისადგომებთან წააქციეს. სტანდარტის შესრულება ყურბანოვმა ითავა და მოჭრილი დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარი ორმხრივ იერიშებში წარიმართა. ქართველები შტურმზე გადავიდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ. ჯერ ბენაშვილს შეეძლო თავის გამოჩენა, შემდეგ კი წინამძღვრიშვილის დარტყმული ოდნავ ასცდა მიზანს. უქმად არც სტუმრები ყოფილან, მათ შეტევაში გართული ქართველები რამდენჯერმე კონტრშეტევაზე დაიჭირეს და, ცოტა უკეთ რომ ეთამაშათ, სხვაობას აუცილებლად გაზრდიდნენ. 75-ე წუთზე მასპინძლებმა მაინც შეძლეს ანგარიშში სტატუსკვოს აღდგენა. ბენაშვილის ზუსტ და ძლიერ დარტყმულზე მეკარემ რეაქცია ვერ მოასწრო და ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა. საერთოდ, ბენაშვილი იმ დღეს ორივე გუნდის შემადგენლობაში აშკარად საუკეთესო გახლდათ.

ქართველებს გამარჯვებაც შეეძლოთ, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში სტუმართა მეკარემ წინამძღვრიშვილს ეგრეთ წოდებული “მკვდარი” ბურთი აუღო. საბოლოოდ ფრე 1:1.

მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც აშკარად უკმაყოფილო დარჩა. ხვალ 14:00 საათზე ეს გუნდები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

განჩინება
გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

25 ნოემბერი 2005 წ. ქ. ახალციხე

ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ცირა მაისურაძემ ლილი კობერიძის მდივნობით განვიხილე სამოქალაქო საქმე შპს "ჰერმესის" დირექტორის რობერტ მესხის განცხადების გამო გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

ვიხელმძღვანელე "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 2, 5, 61, 7, 8-ე მუხლებით

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. დაკმაოფილდეს შპს "ჰერმესის" დირექტორის რობერტ მესხის მოთხოვნა და გაიხსნას შპს "ჰერმესის" გაკოტრების საქმის წარმოება.
2. შპს "ჰერმესი" გამოცხადდეს ვალაუვალად და აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვა.
3. შპს "ჰერმესის" ქონების სამართავად დაინიშნოს გაკოტრების მმართველი ალექსანდრე კალაიჯევი, რომლის ხელფასიც განისაზღვროს 150 ლარით.
4. დაევალოს ახალციხის საგადასახადო ინსპექციას, რომ ერთი თვის ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში, თანხისა და ვალის საფუძველის ჩვენებით. ეცნობოს რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად.
5. საქმის წარმოების გახსნის დღედ გამოცხადდეს 2006 წლის 5 იანვარი
6. 2006 წლის 13 იანვარს 11 საათზე დაინიშნოს სხდომა კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებლად.
7. განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გამოქვეყნებიდან 12 დღეში ახალციხის რაიონულ სასამართლოში კერძო საჩივრის შემოტანის გზით.

ახალციხის რაიონული
სასამართლოს თავმჯდომარე ცირა მაისურაძე

განჩინება
გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

25 ნოემბერი 2005 წ. ქ. ახალციხე

ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ცირა მაისურაძემ ლილი კობერიძის მდივნობით განვიხილე სამოქალაქო საქმე სს "ელექტროძრავას" დირექტორის ამირან ხითარიშვილის განცხადების გამო გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

ვიხელმძღვანელე რა "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 2, 5, 61, 7, 8-ე მუხლებით

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

8. დაკმაოფილდეს სს "ელექტროძრავას" დირექტორის ამირან ხითარიშვილის მოთხოვნა და გაიხსნას სს "ელექტროძრავას" გაკოტრების საქმის წარმოება.
9. სს "ელექტროძრავა" გამოცხადდეს ვალაუვალად და აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვა.
10. სს "ელექტროძრავას" ქონების სამართავად დაინიშნოს გაკოტრების მმართველი ოთარი კაჭკაჭიშვილი, რომლის ხელფასიც განისაზღვროს 400 ლარით.
11. დაევალოს ახალციხის საგადასახადო ინსპექციას და სს "ელექტროძრავის" მუშა-მოსამსახურეებს, რომ ერთი თვის ვადაში წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში, თანხისა და ვალის ჩვენებით. Eეცნობოს მათ რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად.
12. საქმის წარმოების გახსნის დღედ გამოცხადდეს 2006 წლის 6 იანვარი
13. კრედიტორთა კრება დაინიშნოს 2006 წლის 17 იანვარს 15 საათზე ახალციხის რაიონული სასამართლოს შენობაში.
14. განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გამოქვეყნებიდან 12 დღეში კერძო საჩივრის შემოტანის გზით ახალციხის რაიონულ სასამართლოში.

ახალციხის რაიონული
სასამართლოს თავმჯდომარე ცირა მაისურაძე

"ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თბილისის მერის 2006 წლის 9 იანვრის N 1 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. "ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თბილისის მერის 2006 წლის 9 იანვრის N 1 ბრძანებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) 48-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ქ. თბილისის და ქ. თბილისის მთავრობის სახელით შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა პროექტების მომზადების ორგანიზაცია განისაზღვრება ამ რეგლამენტის 30-ე მუხლის შესაბამისად."

ბ) რეგლამენტის 49-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ქ. თბილისის სახელით დადებული ხელშეკრულებები ძალაშია საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დამტკიცებისთანავე, თუ შეთანხმებით ან ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

გ) ქ. თბილისის მთავრობის სახელით დადებული ხელშეკრულებები ძალაშია მთავრობის დადგენილებით დამტკიცებისთანავე, თუ შეთანხმებით ან ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი."

დ) 52-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ქ. თბილისის მთავრობაში მოქალაქეთა წერილობით მიმართვებზე (განცხადება, საჩივარი ა.შ.) მუშაობასა და საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს აპარატი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით."

ე) ამოღებულ იქნეს 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი

მუხლი 2. ეს ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მერი **გიორგი უგულავა**

სამშაბათს, 14 თებერვალს,
11 საათზე მთავრობის სხდომა

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური (ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №4, ტელ. 93-23-42) აცხადებს ღია ტენდერს სამსახურის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველსაყოფად ტალონური სისტემით მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. შესყიდვის ობიექტია:
- საწვავი (ბენზინი):
- ლოტი I სუპერი - 7000 ლიტრის ტალონი (98 ოქტანი)
- ლოტი II პრემიუმი - 25000 ლიტრის ტალონი (95 ოქტანი)
- ლოტი III რეგულარი - 45000 ლიტრის ტალონი (93 ოქტანი)
- დიზელი - 7000 ლიტრი (ლ62)

3. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №4, ოთახი 202 (საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველო).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) საგადასახადო ან სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ, სადამფუძნებლო დოკუმენტები;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან).

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტისა და კრედიტორების წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბენზოგასამართი სადგურების შესახებ (მისამართების მითითებით);

გ) საქონლის ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი.

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან, მე-2 ეგზემპლარი ნოტარიულად დამოწმებული - ქსეროასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბია ღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2006 წლის 28 თებერვალს 17 საათზე, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 8 თებერვლიდან 29 თებერვლის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სადეპოზიტო ანგარიში №200122900. სახაზინო კოდი: 17-12). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ მისამართზე: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №4, ოთახი 112 (საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველო).

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: შესყიდვის ქვეგანყოფილების უფროსი სოლომონ ჩიჩუა, მობ. 899 230576, 893 919762, სამსახური 916127. შალვა ჩოგოვაძე, იურიდიული განყოფილების უფროსი, ტელ. 899 140301.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, საზღვარგარეთ მშენებლობის წარმოების ბიურო (OBO) აცხადებს ფირმებისათვის წინა საკვალიფიკაციო კონკურსს პროექტირებისა და მშენებლობის მომსახურების გასაწევად სტანდარტული საელჩოს პროექტის (SED) ახალი დამატებითი (NOX) შენობის პროექტისთვის. პროექტი მოიცავს საქართველოში, თბილისში შეერთებული შტატების მთავრობის სხვადასხვა სააგენტოების გასანთავსებელი შენობის პროექტირებასა და მშენებლობას. ქვემოთ მოცემულია პროექტის აღწერილობა. პროექტი ითვალისწინებს ახალი, დამატებითი შენობის მშენებლობას შეერთებული შტატების საელჩოს კუთვნილ ტერიტორიაზე.

SALMEC-06-R0007: თბილისი, საქართველო, ახალი დამატებითი შენობა USAID-ისთვის (შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო), ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 5,000 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ახალი დამატებითი შენობის ფართობი: 3,700 კვადრატული მეტრი; პროექტირება-მშენებლობის დადგენილი ღირებულება: 10 დან 15 მილიონამდე აშშ. $.

პროექტის მოთხოვნა მოიცავს ორ ფაზას. მოცემული წინა-საკვალიფიკაციო განაცხადის შემოტანა წარმოადგენს I ფაზას. სახელმწიფო დეპარტამენტი შეაფასებს და შეარჩევს წინა საკვალიფიკაციო განაცხადებს იმ შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც მოცემულია დადგენილ შეფასების ფაქტორებში/პირობებში. ის ფირმები, რომლებიც მიიღებენ დამაკმაყოფილებელ შეფასებას ტექნიკური საბჭოსგან, მიიღებენ ოფიციალურ მოთხოვნას (წინადადების მოთხოვნას) და მათ II ფაზაში შესთავაზებენ წარმოადგინონ მათი მომსახურების ღირებულების კალკულაცია. შეერთებული შტატების მთავრობა იტოვებს უფლებას არ გაატაროს წინა საკვალიფიკაციო ეტაპი იმ ფირმებს, რომლებიც მიიღებენ დამაკმაყოფილებელზე ნაკლებ შეფასებას შეფასების რომელიმე ფაქტორსა, თუ ქვე-ფაქტორში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და წინა საკვალიფიკაციო პაკეტის შინაარსთან და განაცხადების შემოტანასთან დაკავშირებით, გთხოვთ გადახედოთ დოკუმენტს, რომელიც განთავსებულია შემდეგ ვებ. გვერდზე: http://www.eps.gov/.

დააჭირეთ "Vendors" (მომწოდებლები)—აკრონიმებში "Acronims" ჩამოშალეთ მენიუ, შემდეგ დააჭირეთ "State"-ს. სიაში, რომელიც მოცემულია "*Office of Logistics Management*" (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯმენტის ოფისის) მარჯვნივ დააჭირეთ "*Posted Dates*" (გამოქვეყნების თარიღებ-ს). ჩვენი დოკუმენტი გამოქვეყნდა 2006 წლის 2 თებერვალს და დასათაურებულია შემდეგნაირად: "*2006 Design-Build Standard Design Separate Announcement for ANNEX BUILDING Projects ONLY*" (2006 წლის საპროექტო-სამშენებლო სტანდარტული პროექტირების კონკრეტული განაცხადი მხოლოდ დამატებითი შენობების პროექტებისათვის).

ჩვენ გვესაჭიროება სრული პაკეტი, რომელშიც ასახული იქნება სათანადო ინფორმაცია, აღნიშნული შეფასების ფაქტორების შესაბამისად. შეფასების თითოეულ ფაქტორში ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ ფრაზაზე: "*the government will evaluate...* (მთავრობა შეაფასებს...). დარწმუნდით, რომ მოგვაწოდეთ ყველა ის მონაცემი, რომელიც ასახავს თითოეულ იმ ფაქტორს, რაც ჩვენ უნდა შევაფასოთ.

შეკითხვები განმარტებისათვის წერილობითი სახით უნდა გაუგზავნოთ დავით ვივიანს/დონა ნიილს (David Vivian/Donna Neal) ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართებზე: VivianDW@state.gov და NealDK@state.gov, ან ფაქსის მეშვეობით შემდეგ ნომერზე: (703) 875-6699.

ყველა განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს 2006 წლის 21 თებერვლის 15:00 საათამდე.

განაცხადების გამოგზავნა: ფირმებს ვურჩევთ განაცხადები გამოაგზავნონ შემდეგი საფოსტო სამსახურების მეშვეობით (DedEx, UPS Express Mail, DHL და ა.შ.) შემდეგ მისამართზე: (არ გამოიყენოთ აშშ.-საფოსტო სამსახურის (PO Box) მისამართი)

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი:
კერძოდ: დავით ვივიანს/ დონა ნიილს
A/LM/AQM/FDCD/CON);
VA 22209, აშშ, არლინგტონი, N
North Fort Myer Drive 1701,
ოთახი L-600, SA-6.
U.S. Department of State: Attn: David Vivian/Donna Neal
A/LM/AQM/FDCD/CON, Room L-600, SA-6
1701 North Fort Myer Drive
Arlington, VA 22209 USA

პროკრედიტ ბანკი, საქართველო აცხადებს შემდეგ ვაკანსიას

იურიდიული განყოფილების უფროსი

თანამდებობრივი მოთხოვნები:

იურიდიული განყოფილების უფროსი პასუხს აგებს:

- იურიდიული განყოფილების საქმიანობის კოორდინირება/ზედამხედველობა;
- იურიდიულ საკითხებთან მიმართებაში ბანკის აქციონერებთან მოლაპარაკებების წარმართვა, სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა სხდომების მომზადებაში მონაწილეობა;
- საერთაშორისო კრედიტორებთან იურიდიული კონტრაქტების სათანადო დონეზე მომზადება და წარმოება;
- საკრედიტო და ბანკის სხვა განყოფილებებთან თანამშრომლობა და მოლაპარაკებების წარმართვა;
- სასამართლოში გადაცემულ საქმეებზე მუშაობა;
- ბანკის სხვადასხვა იურიდიულ საკითხებზე მუშაობა;
- საქართველოს ეროვნულ ბანკთან და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას ბანკის სახელით შუამდგომლის ფუნქციის შესრულება;

მოთხოვნები/კვალიფიკაცია:

- ძლიერი ხელმძღვანელობითი უნარ-ჩვევები და მუშაობის გამოცდილება მსგავს თანამდებობაზე;
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი სამოქალაქო სამართალში, საქართველოს კომერციული საქმიანობის შესახებ კანონის და საბანკო ინსტრუქციების საფუძვლიანი ცოდნა;
- იურიდიულ ფირმაში ან ბანკში მინიმუმ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
- Microsoft Word-ის და Excel-ის პროგრამების ცოდნა სათანადო დონეზე;
- ევროპის ქვეყნებში და/ან აშშ-ში გავლილი ტრეინინგი ან მუშაობის გამოცდილება სასურველია.

ვინაიდან ამ თანამდებობასთან მიმართებაში მოთხოვნები საკმაოდ მაღალია, პროკრედიტ ბანკი მზადაა გადაიხადოს საკმაოდ კონკურენტუნარიანი ხელფასი.

საბუთების მიღების ბოლო ვადა **2006 წლის 10 თებერვალი.**

ამ ვაკანსიით დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ გამოაგზავნონ სამოტივაციო წერილი და რეზიუმე შემდეგ მისამართზე:

პროკრედიტ ბანკი, საქართველო
სათაო ოფისი
თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. 154
ან ელ. ფოსტის მისამართზე: carrer@procreditbank.ge

გთხოვთ თქვენს რეზიუმეში ან ელ. ფოსტის **Subject** გრაფაში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება.

აქცენტი

მილიონები მემკვიდრეობისთვის

შედეგიანი, მაგრამ მოკრძალებული პრიორიტეტები

სოფო კილასონია

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ და მისი ხელშეწყობით მიმდინარე და აღსრულებულ პროექტებზე უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ. ჩვენი მონიტორინგის ხარისხი პირველ რიგში ჩვენი მკითხველის შესაფასებელია. მაგრამ არის კიდევ თვითკრიტიკა, შესაძლოა, არც ისე ჯანსაღი, არც ისე გულახდილი, მაგრამ მაინც... სწორედ ამიტომაც არის ერთი შენიშვნა. გამოგვრჩა, უფრო ზუსტად კი, ბოლოსთვის მოვიტოვეთ მთავარი მიმართულება, რომელსაც სამინისტრო, და მისი სახით სახელმწიფო, კულტურის სფეროს ძალიან აქტიურად ავითარებს და არ შეიძლება ეს ყველაზე მძაფრი კრიტიკისთვის მომართულმა ადამიანებმაც კი არ დავინახოთ. კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი სამინისტროში ყველაზე დიდი და მასშტაბურია არა მხოლოდ სამართველოთა რიცხოვნობით, არამედ საბიუჯეტო დაფინანსებითაც. სფერო, რომლის შესახებაც ვისაუბრებთ, თამამად შეიძლება ითქვას, ყველაზე წარმატებული გახლავთ, თანხა კი, რომელიც მასზე იხარჯება – ყველაზე შედეგიანად გაღებული სუბსიდია. თვალი შევავლოთ თითქმის ყველაფერს, რაც ბოლო ორ წელიწადში განხორციელდა.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

ალბათ დაისმება კითხვა, რატომ მაინცდამაინც ბოლო ორი წელი. მოკლედ, ამ ბოლო პერიოდის მტკივნეული და ხშირად ძალიან სამართლიანი თემა წამოიჭრება: განა მხოლოდ ახალმა ხელისუფლებამ შექმნა და მოიტანა კულტურა, მეცნიერება და... ორი წლის წინ მოხდა ჩვენთვის საინტერესო სფეროში ფუნქციათა რიგიანი გადანაწილება და მას შემდეგ დაიწყო ის ინსტიტუციური მოწყობა, რომელმაც კარგი შედეგები გამოიღო. ორი წლის წინ სამინისტროს გარეთ არსებული ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი არათუ გაუქმდა, არამედ პირდაპირ შეუერთდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამინისტროს დეპარტამენტს. ამ უწყებათა გამთლიანებას რიგი შიდასტრუქტურული ცვლილებებიც მოსდევდა. გაფართოვდა თავად განყოფილებათა ფუნქციები. სამინისტროს დეპარტამენტმა აითვისა არა მხოლოდ ამ სფეროში არსებული თეორიული ბაზა, არამედ პრაქტიკული, კრეატიული სფეროები: არქეოლოგია, რესტავრაცია. ერთიც და მეორეც დეპარტამენტის პრიორიტეტებად იქცა, თუმცა ნებისმიერ ცვლილებასა და დეპარტამენტში შემავალ სტრუქტურათა ფუნქციებზე, ოპტიმალურობაზე კულტურის მინისტრის მოადგილე ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ჩვენზე უფრო თანამიმდევრულად საუბრობს:

"მას შემდეგ, რაც გაუქმდა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, ჩამოყალიბდა სამინისტროს ახალი სტრუქტურა, რომელმაც მთლიანად მოიცავა კულტურული მემკვიდრეობის სფერო. მოისპო დუბლირებული, დაგლეჯილი ფუნქციები, რომლებიც არსებობდა ძეგლთა დაცვისა და კულტურის სამინისტროს შორის და რაც წლების მანძილზე გრძელდებოდა. დღეს ამას ითავსებს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი. მოვახდინეთ განყოფილებების ოპტიმიზაცია. აქამდე არსებობდა ცალკე სტრატეგიული დაგეგმარება, კულტურული მემკვიდრეობა, ევროპული თანამშრომლობის სამმართველო და ა.შ. დღეისთვის გვაქვს მსხვილი განყოფილებები: 1. უძრავი ძეგლების (ეკლესიები, მონასტრები, ნაციხრები), დაცული ტერიტორიებისა და არქეოლოგიის განყოფილება. ამგვარი გაერთიანებები კოორდინაციისთვის ბევრად უფრო ხელსაყრელია. 2. სამუზეუმო სამმართველო - მუზეუმებისა და მოძრავი ძეგლების კოლექციების, გადაადგილებადი ძეგლების მოვლა-პატრონობა არის სამუზეუმო საქმის ორგანული ნაწილი. 3. ევროპასთან თანამშრომლობის სამმართველო გადაიზარდა სტრატეგიული დაგეგმარების სამმართველოში. 4. მონიტორინგის სამმართველო, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს სამუშაოებს. 5. პრევენციული კონსერვაციის სამმართველო 6. კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო სამმართველო. ეს უკანასკნელი კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფოში არსებული ერთადერთი არქივის ბაზაზეა ჩამოყალიბებული. არქივის მნიშვნელობა განუზომლად დიდია. ეს განყოფილება წლების განმავლობაში დაცულ მასალებს იცავს და ახალ ინფორმაციასაც აგროვებს. მის გამო გაეროს განვითარების ფონდმა გამოყო 100 ათასი ამერიკული დოლარი. იმედი მაქვს, მომავალში არანაკლები სუბსიდირების საშუალება გვექნება."

ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის შარშანდელი ბიუჯეტი მილიონ-ნახევარს წარმოადგენდა (ამ თანხაში არ შედის სამუზეუმო დაფინანსება და აპარატის სახელფასო თანხები). 2005 წელს ნიკა ვაჩეიშვილის საკურაციო სფეროში ყველაზე მასშტაბური პროეტი განხორციელდა. უნიკალურ ძეგლთა დაცვის რეაბილიტაციის "მილიონიანი" პროექტი. კულტურული მემკვიდრეობის სამოცამდე ძეგლზე სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, სპეროექტო და სადიაგნოსტიკო სამუშაოები ჩატარდა. მინისტრის მოადგილე აღნიშნავს, რომ ის მილიონი წამალივით სჭირდებოდა ყოველ ძეგლს და ამან ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. შედეგი კი არა მხოლოდ ობიექტების გადარჩენის, არამედ დონორების მოზიდვის თვალსაზრისითაც.

"საბედნიეროდ, ამ ორი წლის განმავლობაში დონორების მოზიდვა წარმატებით მოხერხდა. "მილიონიანმა" პროექტმა დონორებთან ერთად სინქრონულად იმუშავა. მათ შორის არის "საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი", რომელმაც შარშან ჩვენს მილიონს დაამატა თითქმის ორი მილიონი და წელს ჩვენს საბიუჯეტო თანხას, რომელიც 2 მილიონ 300 ათასი იქნება, სავარაუდოდ, მათგან გაღებული სოლიდური თანხაც დაემატება."

ვაჩეიშვილთან საუბარში კი არაერთი კითხვა ჩნდება. რეაბილიტაცია, რესტავრაცია, თანაც პრევენციული (რაც ბევრად რთული და მრავალმხრივია თავისი შინაარსით), დიაგნოსტიკა და ა.შ. გასაგებია, ჩვენი სპეციალისტები და დაგროვილი ცოდნა, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიები, თანამედროვე ცოდნა და საშუალებები ბევრად წინ არის წასული, ვიდრე ის, რასაც ჩვენი გამოცდილება ითვალისწინებს?

"დასავლეთთან ურთიერთობის ზოგადი მიმართულება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. დღეს წარმოუდგენლად სხვა სტანდარტებია ევროპაში. ისინი, ერთი მხრივ, აიაფებს, მეორე მხრივ კი ახანგრძლივებს ძეგლების ცხოვრებას. რამდენიმე კარგი პროექტი დაიწყო 2005 წელს და ახლაც გრძელდება. დავიწყოთ მცირე დარგებით, მაგალითად, ლითონის რესტავრაციით. ჩვენ ვმუშაობთ ძველ თბილისში ჭარბად არსებულ აუთენტურ, მაგრამ დაუფასებელ საგანძურზე, როგორიცაა მოდერნის სტილის კარიბჭეები, აივნები, სახელურები, ჩუქურთმები. აქ ავსტრიელ სტუდენტებთან ერთად იმუშავეს სამხატვრო აკადემიის კონსერვაციის ფაკულტეტის სტუდენტებმაც. მეორე იყო ფრანგ სპეციალისტებთან ერთად შესრულებული ანტიკური ხანის მინაზე შესრულებული სარესტავრაციო სამუშაოები. მთავარი აქ მაინც გამოცდილების გაზიარებაა, რათა მათი დახმარებით მომავალში უკვე დამოუკიდებლად ვაწარმოოთ მსგავსი პროცესები. ძალიან კარგად არის საქმე მონუმენტური მხატვრობის რესტავრაციის მხრივ. აქ წლების განმავლობაში იტალიელი რესტავრატორები მუშაობდნენ. ამ მიმართულებით ყველაზე ბევრი გვყავს სტუდენტიც. მაგალითად, შარშან მიმდინარე უბისის, ზარზმის, ყინწვისის, მარტვილის მხატვრობაზე ჩატარებული სამუშაოებმა მთლიანად სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მხრებზე გადაიარა. ძალიან რთული ტექნოლოგიების დაძლევა მოუხდათ და მათი წარმატებები ძალიან სასიხარულოა. არქიტექტურის სფეროშიც დასავლური გამოცდილება უნდა გავიზიაროთ. ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ, მემორანდუმი გავაფორმეთ იუნესკოს მრჩეველ ორგანიზაცია "იკრომთან". ისინი პატრონაჟს გვიწევენ მცხეთის ჯვრის პროექტის სწორად წარმართვაში. მათი, ბრიტანელი და იტალიელი სპეციალისტები ჩვენებთან ერთად მუშაობენ. მათ გვერდითაა ყველა თაობის ქართველი რესტავრატორი და თუ მიბრძანდებით მცხეთის ჯვრის სანახავად, ახალი სტანდარტის ხარაჩოსაც დაინახავთ. შიგნით კი გვიდგას დანადგარები, რომლებიც ტაძრის ფასადებზე არსებულ რელიეფთა მდგომარეობას პერმანენტულად ამოწმებენ."

გამოცდილების გაზიარებასა და ადგილობრივი კადრების მაღალ დონეზე მომზადებას ისახავს მიზნად კიდევ რამდენიმე პროექტი, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყება. მათგან უმთავრესი მილანის ტექნიკურ უნივერსიტეტთან დამყარებული ურთიერთობაა. ამის საფუძველზე, იმის გარდა, რომ მოხერხდება რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ტაძრის რესტავრაცია და გამაგრება, მილანის უნივერსიტეტსა და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისა და პროფესურის გაცვლითი ურთიერთობა დაიწყება.

პრაქტიკულ სამუშაოებს თეორიული ბაზაც უნდა დავაწიოთო, ამბობს ბატონი ნიკოლოზი და თან რესტავრაცია-კონსერვაციის შესახებ დაწერილ თანამედროვე უცხოურ ლიტერატურას მიჩვენებს. მათი ნაწილი კიდეც უთარგმნიათ. ხუმრობითა და ხალისით მეუბნება, რომ ჩვენი სპეციალისტები უკვე აკონსპექტებენ და, შესაბამისად, მათი მუშაობის ხარისხიც ბევრად გაიზრდება.

კონკრეტული საკითხები, მაგალითად, ტაძრები და მათი მოხატულობები, რომლებიც დღეს უკვე გადარჩენის გზას ადგანან, ძალიან ბევრია. ის, რომ თანამედროვე დასავლურ გამოცდილებას დღითიდღე ინტენსიურად ეწაფებიან ჩვენი გამოცდილი სპეციალისტები და ახალბედა, სამშობლოზე შეყვარებული სტუდენტები, კიდევ სხვა საკითხია, მაგრამ ნიკა ვაჩეიშვილი ფიქრობს და არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რომ მთავარი სტრუქტურული, ინსტიტუციური მოწყობაა. გამართული მენეჯმენტი, გამართული კანონმდებლობა, სწორად დასმული აქცენტები. ამ თვალსაზრისით კი ძალიან მნიშვნელოვანი ორი აქცენტი უნდა გამოვყო, განსხვავებული იერის, მაგრამ ერთმანეთზე გადაჯაჭვული ორი ორგანიზმი, რომელიც ვაჩეიშვილის დეპარტამენტმა საკუთარი ქოლგის ქვეშ მოაქცია და ამით მნიშვნელოვანი, დროში გათვლილი მიზნები დასახა. დღეს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი პირდაპირ დაუკავშირდა როგორც აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას, ისე აქამდე მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ დ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტს. პირველი მათგანი – კონსერვაცია-რესტავრაციის ფაკულტეტი დღეს უკვე სერიოზულ კადრებს ამზადებს. ეს სპეციალობა აქამდე სხვადასხვა ფაკულტეტებზე იყო მიმაგრებული, როგორც ცალკე ვიწრო გაგების პროფესია. ამიტომ კურსდამთავრებულთა პროფესიონალიზმი და ცოდნა საფუძვლიანი არ იყო. ამჟამად სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებში აკადემიის სტუდენტები პრაქტიკულად არიან ჩართულნი. რაც შეეხება ხელოვნების ინსტიტუტს, იგი ძეგლთა დაცვის დეპარტამენტს დაუკავშირდა და საჯარო სამართლის იურიდიული პირიც გახდა. სამინისტროს მის პოტენციალში ეჭვი არასოდეს შეუტანია. ალბათ ამიტომაც ახლა მზადაა ყველა პირობა შეუქმნას იმისთვის, რომ მან კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციული ვაკუუმი ამოავსოს და საზოგადოებაში მისი პროპაგანდა-პოპულარიზაცია მოახდინოს.

"ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტი და სამხატვრო აკადემიის კონსერვაცია-რესტავრაციის, ასევე ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტები - ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს... დღემდე საქართველომ არ იცის საკუთარი კულტურის შესახებ. ის ამაყობს მისით, მაგრამ რიგიანი ცოდნა არა აქვს თავისი კულტურისა და მისი უნიკალურობის შესახებ. უკვე დიდი ხანია მოშლილია დოკუმენტირება მიმდინარე პროცესების შესახებ. თუ თქვენ მოინდომებთ გაიგოთ, რა მდგომარეობაა დღეს კონკრეტულ ადგილზე, როდის და რა სამუშაოები ჩატარდა ამა თუ იმ ძეგლზე, ძალიან გაგიჭირდებათ რამეს მიაგნოთ. ამიტომაც საჭიროა ახალი გამოცემები. მთელი ჩვენი ცოდნა უნდა იყოს ხელმისაწვდომი. "თბილისის პროექტი" ამის ბაზაა. ჩვენ დედაქალაქი საძიებო კომპიუტერულ გეოსისტემაში შევიყვანეთ. დაფარვითი ინვენტარიზაცია მოვახდინეთ – ანუ ვიცით ყველაფერი, რაც არის ქალაქში, ყოველი უმნიშვნელო დეტალიც კი. საძიებო სისტემა მთელ ამ დაცულ ტერიტორიაზე გვაძლევს ფართო და ამომწურავ ინფორმაციას. ამგვარი მონაცემთა ბაზები გავრცობილი იქნება დიდ ტერიტორიაზე. ჩვენ არა მხოლოდ გავაკეთებთ ხარაჩოებს, გადავჭრით ძეგლის პრობლემებს. და მერე უბრალოდ კი არ წამოვალთ, არამედ იქიდან წამოვიღებთ მთელ ინფორმაციას, ვიდეო, ტექსტუალურ და სქემატურ ჩანაწერებს."

გეგმები კიდევ ძალიან ბევრია. ამ დღეებში საქართველოს მთავრობა და პარლამენტი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ უკვე გამართულ კანონმდებლობას განიხილავს. ამასობაში ახალი გამოცემებიც გამოვა უბისაზე, ზარზმაზე, გელათზე და სხვა. მაგალითად, უკვე გამოიცა სამი წიგნი ქართული მხატვრობისა და მისი მოდერნიზმის შესახებ. ამ ყველაფერში დეპარტამენტს დონორი ორგანიზაციები ეხმარებიან. ვაჩეიშვილი ფიქრობს, რომ მათი ინიციატივები გაგრძელდება და გაიზრდება. როგორც ჩანს, მინისტრის მოადგილე ამ წარმატებებს მაინც დეპარტამენტის გამართულ მენეჯმენტს და მის გვერდით არსებული გუნდის – საკუთარ ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანების კეთილ ნებას აბრალებს.

ამა წლის 28 თებერვალს 12 საათზე ჩატარდება სს "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის 32.
დღის წესრიგი:
1. სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებები
2. საზოგადოების წესდების შეცვლა
3. სხვადასხვა

სს "ივერთბანკი" ყიდის 1300 (ათას სამას) ტონა თეთრ-მშრალ ქარხნულ სუფრის ღვინოს. ფასი შეთანხმებით.
ტელ. 899 628 728, 899 901 809.

გამაჯანსაღებელი ცენტრი
ნაუტილუსი
გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge





სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

ეკა და ქალაქი

FM ცნობა 98.0

ეკა კვესიტაძე: ძველი თბილისის შენარჩუნებასა და განვითარებაზე ამიერიდან მერიაში არსებული არქიტექტორთა საბჭო იზრუნებს. ახალი საბჭო პარიტეტულ პრინციპებზე, კულტურის სამინისტროსა და მერიის მიერ შერჩეული არქიტექტორებით დაკომპლექტდა. პირველი შეხვედრა საბჭომ რამდენიმე დღის წინ მერიაში გამართა. მას ქალაქის მერი და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ესწრებოდნენ. როგორც გიგი უგულავამ განაცხადა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, დღემდე სხვადასხვა ორგანიზაციებში მოქმედი საბჭოები გაერთიანდა. უგულავას თქმით, ეს იქნება წმინდა პროფესიული საბჭო, რომელიც ქალაქში ისტორიული ზონის შენარჩუნება-განვითარებაზე იმუშავებს. საბჭო რვა წევრისგან შედგება. იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს თბილისის განვითარების საქმეში. ამ თემასთან დაკავშირებით დიალოგების სტუმარია დაცული ზონების მთავარი სპეციალისტი რუსუდან მინდიკაშვილი.

ვინ არიან საბჭოს წევრები და კონკრეტულად რას გააკეთებს იგი, რა შეევა მის კომპეტენციაში?

რუსუდან მინდიკაშვილი: საბჭო დაკომპლექტებულია როგორც კულტურის სამინისტროს, ისე თბილისის ურბანული დაგეგმარების სამსახურის წარმომადგენლებისგან. აქ არ იქნებიან მხოლოდ არქიტექტორები, არიან კონსერვაციის ექსპერტები და ის ხალხი, ვინც ჩართულია თბილისის მოვლისა და გადარჩენის საქმეში. საბჭოს უპირველესი მიზანია ქალაქში ახალი მშენებლობების პროცესის დარეგულირება, მისი ეფექტურად წარმართვა. ეს ეხება ისტორიული თბილისის დაცვით ზონებს. იმედი გვაქვს, ეს გაამარტივებს იმ პროცედურებს, როგორიც იყო თუნდაც პროექტების შეთანხმება ორ სხვადასხვა უწყებას შორის, ნებართვების მიღება და ა.შ.

ეკა კვესიტაძე: შეგიძლიათ გვითხრათ, რა მდგომარეობაშია ქალაქის ისტორიული ტერიტორია, სახლები, რომლებშიც მოსახლეობა ცხოვრობს? შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ძველ თბილისში ულამაზესი სახლები სავალალო მდგომარეობაშია.

რუსუდან მინდიკაშვილი: გეთანხმებით, განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა მიწისძვრის შემდეგ. მნიშვნელოვანი ნაწილი სახლებისა, რომელთა მდგომარეობა არც მანამდე იყო კარგი, ახლა ბევრად უფრო დაზიანებულია. მიუხედავად ამისა, არსებობს გადარჩენის შანსები, რეაბილიტაციის გეგმები. კულტურის სამინისტრო უკვე ახორციელებს თბილისის ისტორიული ზონის დაფარვითი ინვენტარიზაცია, რაც გულისხმობს ამ ტერიტორიის ყველა დეტალის აღრიცხვა-დაფიქსირებას. საბჭო მოძებნის პრობლემების დაძლევის გზებს, მოიზიდავს ინვესტორებს კონკრეტულ პროექტებზე, რეკომენდაციებს გასცემს დეველოპერული კომპანიებისთვის და თავისთავად ქალაქის ხელმძღვანელობისთვის, რომელიც, პრინციპში, ამ ყველაფრის პატრონია.

მსმენელი: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იყო შესული ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული "მელოდიას" შენობა. ახლახან გაიყიდა. ერთ მილიონ ლარად იგი იყიდა გიგა ბოკერიას მამის სამშენებლო ფირმამ. ეს არ არის ჭორი, ეს რეალობაა. რამდენაც დაცულია ამ შემთხვევაში კანონი?

რუსუდან მინდიკაშვილი: პრივატიზაცია, თავისთავად არ არის კატასტროფა. ეს არ ნიშნავს, რომ ეს ძეგლი, უნიკალური ქმნილება განადგურდება ან დამახინჯდება. არსებობს რეგულირება როგორც ძველი, ისე ახალი მფლობელისთვის. არსებობს უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები.

ეკა კვესიტაძე: გასაგებია, მაგრამ როცა ასეთი ძეგლების პრივატიზაციაზეა საუბარი, მაშინ ერევა თუ არა კულტურის სამინისტრო ამ პროცესში, რათა ვალდებულებები მკაცრად იყოს გაწერილი? ჩაერია თუ არა იგი ამ შემთხვევაში?

რუსუდან მინდიკაშვილი: საერთოდ, ყველანაირი სამუშაო თანხმდება კულტურის სამინისტროსთან. შესაბამისად, კულტურის სამინისტრო ჩართულია ყველა ქმედებაში, რომელიც ხორციელდება ყველა ძეგლზე თბილისში თუ მის ფარგლებს გარეთ. თუ ამ კონკრეტულ ძეგლზეა საუბარი, შეიძლება ითქვას, რომ ის არ არის გამონაკლისი. ყველა მათგანის ბედი ერთი სქემით წყდება.

ეკა კვესიტაძე: ვინ განახორციელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ვინ გამოყოფს თანხებს ამისთვის, ეძებთ თუ არა ინვესტორებს და თუ ჩანს მათგან ინტერესი?

რუსუდან მინდიკაშვილი: საჭირო თანხები წინასწარი გათვლებით იქნება ძალიან დიდი. ინვესტორების დაინტერესებაც დიდია. თუ იქნება ზუსტი რეკომენდაციები და ადეკვატური შემოთავაზებები, ეს ინვესტიციები ზუსტი მისამართით იქნება მიმართული.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მის ბალანსზე რიცხული ქ. თბილისში, ნავთლუღის ქ. N6-ში მდებარე 3-ოთახიანი ბინის რეალიზების შესახებ

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:
- მესაკუთრე - შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური", მისამართი - ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქუჩა N52.
- სარეალიზაციო ქონება- ქ. თბილისში, ნავთლუღის ქ. N6-ში მდებარე 3-ოთახიანი ბინა
- საწყისი ფასი შეადგენს 17 000 აშშ დოლარს

საკონკურსო პირობები:
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.
კონკურსში მონაწილეობის მიღების აუცილებელი პირობაა "ბე"-ს გადახდა, რომელიც შეადგენს 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარს. "ბე"-ს გადახდა წარმოებს შესაბამისი კურსით ლარებში შემდეგ ანგარიშზე: "საქართველოს ბანკის" ფოთის ფილიალი, ა/ა 117253900, კოდი 220110535.
კონკურსში გამარჯვებულ პირს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება გადახდილად სარეალიზაციო საქონლის ღირებულებაში. დანარჩენ კონკურსანტებს გადახდილი "ბე" უბრუნდებათ უპირობოდ გამარჯვებულის გამოვლენიდან 30 დღის განმავლობაში.
საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.
შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" არ აგებს პასუხს სარეალიზაციო ქონების ნივთობრივი ნაკლის გამო.
კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 8 თებერვლის დილის 10 საათიდან 2006 წლის 10 მარტის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48
განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს ბინის ტექნიკურ მდგომარეობას.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
4. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების მაქსიმალური ფასის გადახდა.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ტენდერს ჯებირების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

დასახელება	განზომილება	რაოდენობა
ტვირთის შტაბელის ჯებირი	ცალი	200

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური"-ს საბანკო ანგარიშზე: : ს.ს. თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი, მფო 220 101 835; ანგარიშის N 34700347 საიდენტიფიკაციო N 245383678, მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 28 თებერვალი.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1
დაფინანსების წყარო - საზოგადოების სახსრები.
მიმწოდებელი ვალდებული იქნება საქონლის მიწოდება განახორციელოს ერთჯერადად შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 90(ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
პრედენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 მარტიდან 3 მარტის 18 საათამდე. მისამართი ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი;
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ
- ცნობა ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის შესახებ.
- ცნობა იმის შესახებ, რომ ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა მიმართ არ მიმდინარეობს წინასწარი გამოძიების პროცესი;
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკურ პირთათვის:

- პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო რეკვიზიტები)
- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოების პროცესი (სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.
პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემოთავაზებული საქონლის ნახაზი.
ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.
სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.
პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადებების მოთხოვნებს.
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: თენგიზ ვარშანიძე მობილური: 899 53 84 75 მის: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N11, შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის" ტექნოლოგიის განყოფილება.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ტენდერს ჯებირების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

დასახელება	განზომილება	რაოდენობა
ტვირთის შტაბელის ჯებირი	ცალი	200

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური"-ს საბანკო ანგარიშზე: : ს.ს. თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი, მფო 220 101 835; ანგარიშის N 34700347 საიდენტიფიკაციო N 245383678, მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 28 თებერვალი.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1
დაფინანსების წყარო - საზოგადოების სახსრები.
მიმწოდებელი ვალდებული იქნება საქონლის მიწოდება განახორციელოს ერთჯერადად შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 90(ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
პრედენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 მარტიდან 3 მარტის 18 საათამდე. მისამართი ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი;
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ
- ცნობა ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის შესახებ.
- ცნობა იმის შესახებ, რომ ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა მიმართ არ მიმდინარეობს წინასწარი გამოძიების პროცესი;
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკურ პირთათვის:

- პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო რეკვიზიტები)
- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოების პროცესი (სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.
პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემოთავაზებული საქონლის ნახაზი.
ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.
სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.
პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადებების მოთხოვნებს.
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: თენგიზ ვარშანიძე მობილური: 899 53 84 75 მის: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N11, შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის" ტექნოლოგიის განყოფილება.

სატენდერო კომისია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერის წესით ავეჯის (იხ. შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალი) შესყიდვას და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
2. პროდუქციის მიწოდება განხორციელდება 2006 წლის განმავლობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურული კონვერტით) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 2 მარტის 17 საათამდე. მისამართი:ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა 4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ტელ:28-48-78 ან 28-48-58;
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1. იურიდიულ პირთათვის:
ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
4.2. ფიზიკურ პირთათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრობის საქმის წარმოება;
5. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დამტკიცდება პრეტენდენტად თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები:საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (მთაწმინდა-კრწანისი) საქართველოს ეროვნული ბანკი მიმღები ბანკის კოდი:220101107 ანგარიშის *200122900 სახაზინო კოდი:300033133), გაცხადების გამოქვეყნებიდან 1 მარტის 17 საათამდე მისამართზე:ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, მისამართზე:ქ. თბილისი. შიო ჩიტაძის ქ. N4, ტელ: 28-48-78 ან 28-48-58.

შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალი

NN	დასახელება	რაოდენობა
1.	საშუალო დონის საოფისე ავეჯი	5
2.	გასაშლელი სავარძელი	10
3.	კარადა ე.წ. კედელი	5
4.	მაგიდა	6
5.	სავარძელი	5
6.	სავარძელი (ტყავის)	2
7.	სამეული (ორი სავარძელი ერთი დივანი)	5
8.	საოფისე მაგიდა	26
9.	საოფისე მაგიდა	5
10.	საოფისე სავარძელი	1
11.	საოფისე სკამი	18
12.	სკამი	12
13.	ტუმბო (3 უჯრიანი)	5

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
სატენდერო კომისია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერის წესით კომპიუტერული მოწყობილობების და მათი ნაწილების (იხ. შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალი) შესყიდვას და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
2. პროდუქციის მიწოდება განხორციელდება 2006 წლის განმავლობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურული კონვერტით) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 2 მარტის 17 საათამდე. მისამართი:ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა 4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ტელ:28-48-78 ან 28-48-58;
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1. იურიდიულ პირთათვის:
ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
4.2. ფიზიკურ პირთათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრობის საქმის წარმოება;
5. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დამტკიცდება პრეტენდენტად თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები:საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (მთაწმინდა-კრწანისი) საქართველოს ეროვნული ბანკი მიმღები ბანკის კოდი:220101107 ანგარიშის *200122900 სახაზინო კოდი:300033133), გაცხადების გამოქვეყნებიდან 1 მარტის 17 საათამდე მისამართზე:ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, მისამართზე:ქ. თბილისი. შიო ჩიტაძის ქ. N4, ტელ: 28-48-78 ან 28-48-58.

NN	დასახელება	რაოდენობა
1.	DVD- RW DISK	20
2.	FLESH DISK DRIVE 512 MB ან მეტი	30
3.	MINI DV კასეტა	6
4.	ასლგადამღები აპარატი CANON E-30-ს ღუმელი ან მსგავსი	2
5.	ბარაბნის სამუხტი MINOLTA ან მსგავსი	10
6.	დამაგრძელებელი USB	20
7.	დეველოპერი ~MINOLTA~ 1050-ის ან მსგავსი	6
8.	დეველოპერი ~MINOLTA DI-450~-ის ან მსგავსი	4
9.	ვინჩესტერი 80 GB	10
10.	კარტრიჯი HP 1010 ან მსგავსი	40
11.	კარტრიჯი HP DJ 6615 DEან მსგავსი	2
12.	კარტრიჯი HPR1823 DEან მსგავსი	4
13.	კატრიჯი HP 5P ან მსგავსი	2
14.	კატრიჯი HP-1200 ან მსგავსი	74
15.	კატრიჯი 5100 ან მსგავსი	2
16.	კატრიჯი HP 1300 ან მსგავსი	4
17.	კატრიჯი HP1100 ან მსგავსი	14
18.	კატრიჯი PR-50 OLLIVETI ან მსგავსი	40
19.	კატრიჯი CANON E 30 ან მსგავსი	32
20.	უწყვეტი კვების ბლოკი UPS	50
21.	უწყვეტი კვების ბლოკი UPS-ის აკუმულატორი	100
22.	კლავიატურა	40
23.	კომპაქტ დისკი ვრაიტერი CD-RW DISK	30
24.	კომპიუტერის დინამიკი	10
25.	მაუსი - ოპტიკური	20
26.	მაუსი უკაბელო	4
27.	მაუსი ჩვეულებრივი	19
28.	მიკროფონი	4
29.	ყურსასმენი	10
30.	პრინტერის კაბელი USB 3მ	30
31.	რადიოადაპტერი-BLUETOOTH ADAPTER USB	4
32.	RAM 256 მბ DDR (მეხსიერება)	11
33.	საინფორმაციო პლატა ILINK 1394 კაბელით ან მსგავსი	2
34.	ტონერი ~MINOLTA~ ან მსგავსი	100
35.	ტონერი UNIT CV 15 ან მსგავსი	2
36.	ტონერი XEROX 230 ან მსგავსი	2
37.	უნივერსალური პორტი USB CARD PCI	5
38.	ფოტოპირგადასაღები ~MINOLTA~ 1050-ს ბარაბანი ან მსგავსი	9
39.	ქსელის კონექტორი RJ-45	80
40.	ღუმელის ლილვი `MINOLTA~ ან მსგავსი	3
41.	ღუმელის ტემპერატურის სენსორი `MINOLTA~ ან მსგავსი	4
42.	CD-R/RW/ DVD	6
43.	CD-CASE KDD-60	4
44.	პრინტერი ფერადი	4
45.	პრინტერი შავთეთრი	10
46.	ასლგადამღები აპარატი ~CANON – fc 108~ ან მსგავსი	9
47.	სკანერი	3
48.	ნოუტბუქის ჩანთა	5
49.	კომპიუტერი P4	8
50.	ნოუთბუქი P4	6
51.	კარტრიჯი HP oficejet 4255 ან მსგავსი	8

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
სატენდერო კომისია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13) აცხადებს ტენდერს **ბათუმის ზღვისპირა პარკში (საერთო ფართი შეადგენს 85,6 ჰა-ს) მიმდინარე აგროტექნიკური ღონისძიებებით გათვალისწინებული მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ტენდერის შედეგად გამოვლენილი მხოლოდ ერთი გამარჯვებული ვალდებული იქნება გასწიოს ყოველდღიური მომსახურება ამ მომსახურებაზე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის მე-5 დღიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დახურული კონვერტებით, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 9 თებერვლიდან 2006 წლის 3 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13, სსიპ "ზღვისპირა პარკის" ოფისი. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 3 მარტს, 18 საათზე, დაინტერესებული პირებისა და სხვა მსურველთა თანდასწრებით.

4. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

ა) პრეტენდენტის დასახელებას (სახელსა და გვარს), მის იურიდიულ მისამართსა და ფაქტიურ ადგილმდებარეობას (ადგილსამყოფელს), საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართებს, ტელეფონებისა და ფაქსის ნომრებს, საბანკო რეკვიზიტებს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელსა და გვარს;

ბ) შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ცნობას ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;

გ) ინფორმაციას ამ განცხადებაში მითითებულის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ, კონკრეტული მაგალითების და მოცულობების მითითებით. სასურველია, სათანადო სარეკომენდაციო წერილების წარმოდგენა;

დ) ცნობას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრებაში არსებობის ან იჯარაში აღების შესახებ და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, დადასტურებულს დამოუკიდებელი აუდიტური ფირმის მიერ;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ცნობას იმის თაობაზე, რომ იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირები (ფიზიკური პირის შემთხვევაში - თვით ეს პირი) უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავდებულები და ამჟამად მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

იურიდიული პირის შემთხვევაში:

ვ) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სასამართლოდან ცნობას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

თ) რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციიდან ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ი) მის საკუთრებაში არსებული ქონების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საჯარო რეესტრის ადგილობრივი სააგენტოს ცნობას ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

კ) მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების პირადობის მოწმობის ასლს;

ფიზიკური პირის შემთხვევაში:

ლ) პირადობის მოწმობის ასლს;

მ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ცნობას მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

ნ) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება;

არარეზიდენტმა პირმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსა და საქართველოში დადგენილი წესით ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ამ პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებსაც, თუ პრეტენდენტი მათთან ერთად ადგენს სატენდერო წინადადებას.

5. სატენდერო დოკუმენტაცია, ქართულ ენაზე, მსურველებს შეუძლიათ 2006 წლის 26 თებერვლამდე, დილის 10 საათიდან 17 საათამდე, მიიღონ სსიპ - "ზღვისპირა პარკის" ოფისში. დოკუმენტაცია გაიცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშზე N000142101, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, კოდი 220501102, 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალის წარმოდგენისთანავე. ჩარიცხვის დოკუმენტში უნდა მიეთითოს გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, **ბათუმის ზღვისპირა პარკში მიმდინარე აგროტექნიკური ღონისძიებებით გათვალისწინებული მომსახურება.**

6. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ბატონ დავით გაბაიძესთან, სსიპ - "ზღვისპირა პარკის" ოფისში ან საქალაქო ტელეფონით (995222) 74721 ან მობილური ტელეფონით 8(93) 204857.

სატენდერო კომისია

